136

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო მთელი ქვეყნისა შეერთდით

მეოთხე წელიწადი

კომუნისტი

ცენტრალურ და თბილისის
კომიტეტის
[illegible]
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24
ტელეფონი 10—49.

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 9-დან 10 საათამდე

ტელეფონი { 14—76. რედაქტორის. 10—58. მდივნის.

ხელის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—1 მან. 30 კ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—1 მან. 40 კ. კოლექტ. ხელ. მოწ. 80 კ.; ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის 90 კაპ. განცხადება 20 კ. ნონპარელის სტრიქონი. [illegible] განცხადება 5 მან. ხაზზე. განცხადებები მეორე ნომერში მიიღება მხოლოდ 2 საათ.

№ 71 (926) შაბათი, 29 მარტი 1924 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 71 (926)

დღიური

საბჭოთა კავშირის ელჩმა ჩააბარა რწმუნებას სიგელი იტალიის მეფეს.

სირიაში დაიწყო გლეხთა მოძრაობა საფრანგეთის წინააღმდეგ.

საბერძნეთის მეფის გვარეულობას უფლება წევრებს ჩამოართვეს მოქალაქის უფლება.

ბრიტანეთის ჯარის სარდლობამ პალესტინაში ინდუსები ინგლისური ჯარით შესცვალა.

პოლონეთის მთავრობამ ციხეები გაავსო პოლიტიკური პატიმრებით.

ფულის რეფორმის გარშემო

ფულის რეფორმის წარმატებით გატარება ჰგულისხმობს მთელ რიგ წინასწარ პირობებს. შეუძლებელია მტკიცე ვალიუტის შემოღება, თუ არ არსებობს სახელმწიფო გასავალ-შემოსავლის განსაზღვრული შეფარდება და ხელსაყრელი საერთო ეკონომიური მდგომარეობა.

უდეფიციტო ბიუჯეტის მიღწევის მიზნით, გაძლიერებულ იქნა შეძლებულ კლასების და ჯგუფების დაბეგვრა, გაზრდილ იქნა შემოსავალი სახელმწიფო მამულებისა და სხვა ქონებიდან, აქ საქმის უკეთ დაყენებით და მომჭირნეობის დაცვით; ამასთან მთავრობამ შესაძლებელ უკიდურესობამდე შეკვეცა ხარჯები და შეამცირა დოტაციების რაოდენობა.

ამავე დროს ჩვენი მრეწველობა აღორძინების მკვიდრ გზაზეა შემდგარი. საბჭოთა კავშირის მთელი მრეწველობის პროდუქცია თებერვალში გაიზარდა საშუალოდ ხუთი პროცენტით, საფეიქრო საქონლის დამზადებამ იმატა 6-დან 36 პროცენტამდე.

მრეწველობის გამოცოცხლებასა და ფულის რეფორმასთან დაკავშირებით საგრძნობლად გაიზარდა სახელმწიფო ვაჭრობა, ალებ მიცემობა. მაგ., მოსკოვის ბირჟას, ტრესტების და სინდიკატების ფულის და საქონლის ბრუნვა აღემატება თებერვალში იანვრისას 30 პროცენტით.

უაღრესად საყურადღებოა ერთი გარემოება. თუ წინედ ჩვენი საქონელი საღდებოდა თითქმის მარტო ქალაქებში და სოფელი მოწყვეტილი იყო ალებ-მიცემობას, როგორც მისი სყიდვითი უნარის უქონლობის, ისე ჩვენი სავაჭრო აპარატის სათანადოთ მოუწყობლობის გამო,—დღეს ამ მხრივ ხდება არსებითი გარდატეხა. ჩვენი ბაზარი ფართოვდება და შიგ ებმებიან სულ უფრო მეტი გლეხთა მასსები. გუშინდელი რადიო გადმოგვცემდა, რომ ფრიად გაიზარდა საქონლის მოთხოვნა გლეხებისაგან; მოსკოვი სავსეა წვრილი ვაჭრებით და ქვედა კოოპერაციის წარმომადგენლებით, რომელნიც აქ ჩამოდიან საქონლის შესაძენად.

სოფელი აბამს კავშირს სახელმწიფო მრეწველობასთან. გლეხის ნაშუშევარს ფასი დაედო, და მას საშუალება ეძლევა შეიძინოს საჭირო სამრეწველო საგნები, რასაც აგრეთვე დიდად უწყობს ხელს ამ უკანასკნელებზე ფასების საგრძნობი დაკლება—შემდეგი საბჭოთა ხელისუფლების მთელ რიგ ღონისძიებებისა.

ამგვარად, გლეხობის უფრო მეტი ჩაბმით სახელმწიფო ალებ-მიცემობაში ფართოვდება ჩვენი საქონლის ბაზრის ტევადობა, რაც თავის მხრივ გამოიწვევს მრეწველობის გაფართოვებას, მისი ნაყოფიერების გაზრდას მისი პროდუქციის უფრო გაიაფებას.

აქვე აღსანიშნავია ორი მომენტი, თუ წინედ წვრილი ვაჭრობის დარგში მდგომარეობის თითქმის სრული ბატონ-პატრონი კერძო კაპიტალი, კერძო ვაჭარი იყო, რაც მრავალმხრივ უმზადებდა საფრთხეს საბჭოთა ხელისუფლებას და მის ეკონომიკას,—დღეს მდგომარეობა იცვლება და სახელმწიფო და კოოპერატიული სავაჭრო ორგანოები საქონლით აღწევენ მიყრუებულ პროვინციებში და აქ წარმატებით ებრძვიან ჩარჩებს, კერძო ვაჭრებს, თანდათან ამარცხებენ მათ და აძევებენ ბაზრიდან.

ამას აქვს უდიდესი ეკონომიური და პოლიტიკური მნიშვნელობა, საბჭოთა ეკონომიკის და მუშურ-გლეხურ ხელისუფლების განმტკიცების, მუშის და გლეხის უშუალო დაკავშირების საქმისათვის.

ამასთან დაკავშირებით ჩვენი სახელმწიფო ვაჭრობა სათანადო გავლენას ახდენს კერძო ბაზარზე, რომელიც იძულებულია მისდიოს კოოპერაციას და სამეურნეო ორგანოებს და ფასები დაუკლოს. სახელმწიფო და კოოპერაცია იმორჩილებენ კერძო ბაზარს და ხდებიან მისი მომწესრიგებელნი.

ყველა ამ მიღწევებში და მათ გაღრმავება-გაფართოვებაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ფულის რეფორმის მტკიცედ და წარმატებით გატარებას.

მტკიცე ფული ერთ-ერთი მთავარი პირობაა საქონლის ტრიალის გამოცოცხლების და ქვეყნის სამეურნეო გაჯანსაღების.

ამიტომაცაა, რომ საბჭოთა ხელისუფლება ასეთი ენერგიით ანხორციელებს ფინანსიურ რეფორმას. და ის კიდეც შესძლებს, ყველა მშრომელთა აქტიური დახმარებით, დაწყებულ საქმის ბოლომდე მიყვანას.

ამისათვის საერთო ეკონომიური პირობები უეჭველად არსებობენ.

ფულის რეფორმის წარმატებით და მოკლე დროში დამთავრებით ჩვენ შევქმნით მკვიდრ ნიადაგს ქვეყნის ეკონომიკის ნორმალური განვითარებისათვის, მუშის და გლეხის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

ანტისარწმუნოებრივი პოლიტიკისათვის

მშრომელმა ხალხმა მტკიცე კურსი აიღო ქალაქის ბურჟუაზიის და სოფლის თავად-აზნაურობის წინააღმდეგ. მან დაამსხვრია როგორც პირველის, ისე მეორეს ბატონობა. მემამულეები მოკვდნენ ეკონომიურად და პოლიტიკურად. ბურჟუაზიამ ოქტომბრის რევოლიუციის პირველ დღეებშივე განუტევა სული პოლიტიკურად. ეკონომიურად კი მას აუგებს წესს პროლეტარიატის ორგანიზაციული ბრძოლა.

მაგრამ მუშათა კლასის კომუნისტური ბრძოლა ამით არ ამოიწურება. მშრომელი ხალხი მზადაა ანგარიში გაუწიოს ყოველი ჯურის მყვლეფელს. ოქტომბრის რევოლიუციამ წამოაყენა საზოგადოებრივ ცხოვრების ზედმეტი ბარგების, პარაზიტების დედა-მიწის ზურგიდან განიავება. მუქთა-ხორები უნდა მოკვდნენ არა მარტო იდეურად, პოლიტიკურად, ეკონომიურად.

საჭიროა მათი ფიზიკურადაც განადგურება იმ შემთხვევაში, თუ ისინი მუშათა კლასის დიქტატურას ფაქტიურად არ დაემორჩილებიან. ცხოვრების ასეთი მსუნაგები, სოფლის და ქალაქის მუშების სისხლის მწოვლები ბლომად მოიპოვებიან ჩვენი ქვეყნის სინამდვილეში. ეს ხალხი არის შავ ანაფორაში გახვეული სამღვდელოება. მუდამ დღე, ყოველ წუთს ეგ „სასულიერო თავად-აზნაურობა" მშრომელთა ბატონობის ციხე სიმაგრეების დამხობაზე ოცნებობს. ამ დღეებში გაასამართლეს მისი მეთაურები. გამოააშკარავეს მათი შავი კბილები. მაგრამ ეს არ კმარა. საჭიროა გაბედული ნაბიჯი გადაიდგას ზეციურ ქვეყნის დიპლომატების წინააღმდეგ.

ნაწილობრივათ საქართველოს მუშებმა და გლეხებმა ეს ნაბიჯი კარგა ხანია გადადგეს. ჩვენი ქვეყნის ზოგ მაზრებში ეკლესია მონასტრები მიატოვეს და მღვდლებს გადამწყვეტი ბრძოლა გამოუცხადეს. ამ მხრით პირდაპირ სანიმუშოა სენაკის მაზრის მშრომელი გლეხკაცობის საქციელი. ამ მაზრაში არ მოიპოვება არც ერთი მღვდელი და მისი კანცელიარია—ეკლესია. მსგავს მოვლენას ვხედავთ სხვა მაზრებშიაც, განსაკუთრებით—დასავლეთ საქართველოში

ჩვენთვის, კომუნისტებისათვის, აშკარაა მშრომელი მასსის ანტისარწმუნოებრივი შეგნების მნიშვნელობა.

კრიტიკა რელიგიის—კრიტიკაა იმ წეს-წყობილების, რომელსაც ზეციური მამა აკანონებსო—სწერდა მარქსი. ზეციერი ქვეყნის წინააღმდეგ ბრძოლა—ბრძოლაა მიწიერი ქვეყნის წინააღმდეგ. ჩვენს სინამდვილეში სწორედ ასეც მოხდა. ზეციერ ქვეყანას ჩვენმა ხალხმა კარგა ხანია ომი გამოუცხადა. დაახლოვებით 1905 წ. რევოლიუციდან იწყება ეს ომი. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამ დაასრულა „მიწიერი ქვეყნის" კრიტიკა, ახლა ჯერი ზეციერ ქვეყნის კრიტიკაზე მიდგა. ამ საქმისათვის საბჭოთა ხელისუფლებამ არ დაზოგა არც მატერიალური და გონებრივი ძალ-ღონე. საჭირო შეიქნა მშრომელი ხალხის მხოლოდ მითითება უსამართლობის მოსპობისაკენ. მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით სწარმოებს ანტირელიგიური მუშაობა. პრაქტიკული მიღწევები საგულისხმოა როგორც ჩვენში, ისე ყველა ჩვენს მოძმე საბჭოთა რესპუბლიკებში.

საქართველოში გვაქვს ცრუმორწმუნეობასთან ბრძოლის პრაქტიკა. ყველგან ჩვენ ვხედავთ მეტად დამახასიათებელ მოვლენას: გლეხობა კატეგორიულად უარყოფს მღვდლებსა და მათ თანამოძმეებს. აშკარაა, სულიერმა მამებმა თავისი მტაცებლური სულისკვეთებით და „ღმერთო საქციელით" საკმაოთ მოაბეზრეს თავი მშრომელ მასებს და გადაუშალეს მათ თავიანთი შავი სული.

მაგრამ სამღვდელოებასთან პრაქტიკული ბრძოლით როდი უნდა დასრულდეს ანტირელიგიური მუშაობა. წერტილი აქ არ უნდა დაისვას. ბრძოლა უნდა გაღრმავდეს ამ მიმართულებით. ჩვენი ვალია მშრომელი მასსის განთავისუფლება არა მარტო სამღვდელოების ბრჭყალებისაგან, არამედ უმთავრესად—რელიგიისაგან, ზებუნებრივი არსებისადმი რწმენისაგან. ეს საქმეა აგიტაცია-პროპაგანდის, ლენინიზმის აზრების გავრცელების მშრომელთა წრეებში. მომავალი დაასრულებს ამ საქმეს.

სამწუხაროდ, შეუძლებელია არ აღინიშნოს „დეფექტები" ანტისარწმუნოებრივ პოლიტიკაში. ეს დეფექტი მდგომარეობს შემდეგში: აგიტაცია ერთნაირად უნდა სწარმოებდეს მთელი რესპუბლიკის მასშტაბით და შედეგებიც შედარებით უნდა იქნას დაცული ერთნაირადვე. თუ არ დავიცავთ ამ დებულებას, იმ მდგომარეობის მოწმენი შევიქნებით, რაც ახლა გვიდგას თვალწინ. რელიგიის ქურუმებისაგან განთავისუფლებულ მაზრის მასსები ვერ გრძნობენ თავს სავსებით ბედნიერად და კმაყოფილად. მათ იციან, რომ მაგ. თბილისში, მცხეთაში და სხ. არსებობს წირვა-ლოცვა, მღვდელმსახურება, საეკლესიო ნათვლა - ქორწინება - დასაფლავება. ათასნაირი პროვოკატორები დაძრწიან სოფლიდან სოფლად და ეუბნებიან გლეხებს: რა ჰქენით, რა ჩაიდინეთ, თქვენ წიხლი ჰკარით განგებას, თქვენს გამჩენსა და შემქმნელს. სხვა მაზრებში კი ასე არ უქნიათ, ისინი დროს უცდიან და ღმერთიც მათი მწყალობელიაო. მეტყვით, გლეხი არ უნდა წამოეგოს დემაგოგიის ანკესზეო. ნუ ვიქნებით მეოცნებენი: ჩვენი გლეხ-კაცი მზადაა რელიგიას შავი ჯვარი დაუსვას. მაგრამ იგი კიდევ არაა მომზადებული ანტირელიგიური მსოფლმხედველობა იქონიოს. ეს მომავლის საქმეა. აწმყო კი სხვანაირად ლაპარაკობს. მშრომელ ხალხის ფსიქოლოგია ასეთია: რაც საერთოდ იქნება, მისაღები და შესაწყნარებელია. ხოლო რაც კერძოა—მიუტოვებელი ცოდვაა და დანაშაული, შეურიგებელი. ამ წერილის ავტორი ორგანიულადაა დაკავშირებული სოფლის მასსასთან. დანამდვილებით, სისწორით შემიძლიან ვსთქვა: გლეხები მაგ. დასავლეთ საქართველოში დიდის ხალისით ეკიდებოდნენ „ღმერთებთან" ბრძოლას. საქმე წარმატებით დაამთავრეს. ახლა კი აქა-იქ ამბობენ, რატომ საერთოდ კანონი არ მოხდა ისე, რასაც ისინი სჩადიოდნენ.

გორელი გლეხი ლოცულობს, თბილისელი „მეშჩანინი" მარხულობს, გასუქებული სპეკულიანტი ჯვარს იწერს საეკლესიო გალობათა გუგუნის ქვეშ... როგორ შეიძლება ყოველივე ამას შეურიგდეს სენაკელი გლეხი, რომელმაც გუშინ იერიში მიიტანა სამღვდელოების ციხე-სიმაგრეზე! მეზობლურ ცხოვრებაში ერთი კუთხის გავლენა უეჭველად დიდია მეორე კუთხეზე.—ქალიშვილს როგორ გავათხოვებ სამოქალაქო წესით მარტო, აი მცხეთაში ჯვრის წერაა „საიდუმლო წესით", ეს ასე არ შეიძლება. უნდა გავაძლიეროთ აგიტაცია - პროპაგანდა მთელ საქართველოს მასშტაბით და სპეკულიანტ მუქთა-ხორებს მოუსპოთ „სულიერი კმაყოფილების" უკანასკნელი საბუდარი.

მეორე დეფექტი—ძველი წესების ახალ ფორმაში დატოვებაა. ახალ მოდის ნათლობა, ჯვრის წერა და სხ. მიუღებელი ცერემონიებია. *) უნდა გადავდგათ გაბედული ნაბიჯი ყოველგვარ ჩვეულებების წინააღმდეგ, რომელიც რელიგიურ გრძნობასთანაა ოდნავ მაინც დაკავშირებული. რა საჭიროა ნათლიმამა! რა საჭიროა ბავშვის სახელწოდება საზოგადოებით სავსე აუდიტორიის წინაშე, ან ჯვრის წერა ასეთივე წესით? ჩვენ უნდა ვებრძოლოთ ახალ „რელიგიას", როგორც ვებრძოდით ძველ რელიგიას. უნდა უარვყოთ ყოველივე რელიგია, რა სახისაც უნდა იყოს იგი. ძველმა ქართველებმა არმაზი (კერპი) დაამსხვრიეს, მის ნანგრევებზე „ტრაპეზი" ააგეს. ჩვენ ვერ გავყვებით ასეთ გზას. უნდა შევითვისოთ ახალი წესები, რევოლიუციონური ჩვეულებები. ასეთი წესი უკვე იხმარეს პრაქტიკაში. გადახედეთ ცრუმორწმუნეობის მონობისაგან განთავისუფლებულ მაზრის გლეხ-კაცობის საქციელს. ამ მაზრებში არაა საზოგადოებრივი ნათლა, საზოგადოებრივი ქორწინება. არაა თვალთმაქცური ცერემონია. დაიბადება ბავშვი—მესამე დღესვე ატარებენ „მმაჩში". სახელსაც დაარქმევენ და გვარსაც. შეუღლებაც უბრალოდ ხდება: მიდიან და აწერენ ხელს. არაა არავითარი ტრადიცია დაცული. ყოველივე რევოლიუციონურ წესსა და რიგზეა; არც მღვდელი ახსენდებათ და არც „საიდუმლო მოქმედებანი", ძველი ზნე, ჩვეულება, ნათლიმამა და მათი მსგავსები.

ჩვენს ანტირელიგიურ პოლიტიკაში უნდა გადაიდგას უფრო გაბედული ნაბიჯი უსათუოდ. ჩვენი პარტია ითმენს რელიგიას ჯერ-ჯერობით, მაგრამ არა ყველგან და ყოველთვის ყოველ პირობებსა და გარემოებაში. რაც შეიძლება გაკეთდეს თუ გინდ „დაკვრითი წესით", უნდა შესრულდეს უეჭველად. სადაც შესაძლებელია ძველის ნაშთების უარყოფა, უნდა უარვყოთ დაუყოვნებლივ. ბუნებრივი სიკვდილით რელიგია ისევე არ მოკვდება, როგორც არ მოკვდება ბუნებრივად კაპიტალიზმი.

გავამხნევოთ სარწმუნოების ბურუსიდან განთავისუფლებული მშრომელი მასსა, ხოლო მისი მაგალითით თვალწინ წამოვუყენოთ რელიგიის ოპიუმით მოწამლულ დანარჩენ გლეხ-კაცობას: აი ჩვენი ანტირელიგიური პოლიტიკის მორიგი ამოცანა.

გ. მუშიშვილი.

კიდევ საქართველოს ს. დ. პარტიის ცენტრალურ კომიტეტს

ამას წინეთ მე გირჩიეთ შეჩერება იმ უშნო და უშინაარსო კამათის, რომელიც თქვენ დაიწყეთ ჩემ წინააღმდეგ. ასე სჯობდა თქვენთვის. მე ვიცოდი, რომ თქვენ არაფერი გაქვთ სათქმელი. არ მინდოდა ხალხს დაენახა თქვენი იდეური გაკოტრება. მაგრამ ვხედავ, რომ ეს ძალიან გნდომებიათ თითონ თქვენ. აგერ მესამე ფურცელს ვკითხულობ ჩემ წინააღმდეგ გამოშვებულს. სამივე ფურცელში მხოლოდ ერთი „აზრია". გაიძახით სულ იმას, რომ მე სხვას ვამბობდი და ახლა სხვას ვამბობ. თქვენ იცით, რომ ეს ტყუილია და განგებ სტყუით. ეს ტყუილი, ადვილი გასაგებია, რისთვის გჭირდებათ. არ გაგივათ ეს.

მე მოვითხოვ თქვენგან პირდაპირ პასუხს შემდეგ კითხვებზე.

1. როგორ ვუყურებდი მე თავიდანვე ევროპაზე დამყარებულ იმედებს?

ცენტრალური კომიტეტის ძველი შემადგენლობიდან ეს იცის ერთმა წევრმა, უთუოთ ეხსომება ჩემი გამოსვლები ც.-კის პირველ სხდომებზე.

2. რა აზრის ვიყავი მე ინტერვენციის და შეიარაღებული აჯანყების შესახებ?

3. რა ხაზი იყო გატარებული იმ თეზისებში, რომელიც მე გაუგზავნე გასაცნობათ პარტიულ ხელმძღვანელ ორგანიზაციებს 1922 წლის მარტში აპრილში?

4. მითქვამს ხოლმე, თუ არა ცენტრალური კომიტეტის ბიუროში, რომ თუ ჩვენ პარტიის და ხალხის გადარჩენა გვსურს, ხელი უნდა ავიღოთ ძალაუფლებისთვის ბრძოლაზე და მოვხსნათ სამხედრო მდგომარეობა მმართველ პარტიასთან დამოკიდებულებაში?

5. ვთქვი თუ არა მე ცენტრალური კომიტეტის ბიუროში, რომ საჭიროა დავაყენოთ საკითხი საბჭოთა ძალაუფლებასთან შერიგების შესახებ და მიპასუხეს თუ არა ბიუროს წევრებმა, რომ ხალხს არ უნდა შერიგებაო?

6. ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე უკანასკნელათ ვამბობდი თუ არა მე, რომ საქმიან ნიადაგზე გადავეტანა პოლიტიკური მუშაობა, ვამბობდი თუ არა მაშინ, რომ თუ საბჭოთა ძალაუფლება გააკეთებს რამეს საქართველოს კულტურულ და ეკონომიურ აღორძინებისათვის, ჩვენ აღარ უნდა ვეცილებოდეთ ძალაუფლებაში.

7. გახსოვსთ თუ არა თქვენ—ცენტრალურ კომიტეტში ყოველთვის ვამბობდით მხოლოდ, რომ საქართველო მზათ უნდა იყოს უპატრონოს თავის თავს, თუ რუსეთი გადაეჩეხა ეკონომიურ და პოლიტიკურ უფსკრულში, თუ იმის ისტორიაში განმეორდა 1918—1919 წლები?

8. აქვს თუ არა ნათქვამი ერთს თქვენგანს ორ ამხანაგთან, როცა მე ჩეკაში ვიჯექი, რომ ჩემი აზრი არ არის მისთვის ახალი და მოულოდნელი?

რასაკვირველია, თქვენ გახსოვთ და იცით ყოველივე ეს. და თითეულ ფურცელში იმეორებთ მაინც, რომ მე ჩეკაში გამოვიცვალე აზრი. ამითი გინდათ უნდობლობა შექმნათ ჩემ გარეშემო. უბადრუკია თქვენი ფიქრი, უბადრუკია თქვენი გრძნობა, უბადრუკია თქვენი სიტყვა. მე ვხედავ თქვენ ფურცლებზე, რომ საქართველოს სოც. დემ. პარტიას არა ჰყავს ცენტრალური კომიტეტი. ვინც ამისთანა ფურცლებზე ხელს აწერს, იმას არ აქვს უფლება პარტიის ხელმძღვანელის სახელს ატარებდეს.

ამ რთულ ისტორიულ მომენტში, როცა ასე დაჭიმულია ხალხის ძარღვები, თქვენ ისე დაწვრილებულხართ, რომ ჩემს იქით ვეღარაფერს ხედავთ. კარგი, თუ გინდა ჩეკამ იქონია ჩემზე გავლენა, ვთქვათ, გამომცვალა ჩეკამ, ნუ თუ ამის მეტი არაფერი გაქვთ სათქმელი?! ნუ თუ არსებით რამეთ მიგაჩნიათ მარტო იმას თქმა, რომ „საქართველოს განთავისუფლება მოახლოვებულია და რუსის ჯარი გაიდევნება აქედან"?

არ აჯობებდა, რომ ეს იმედი ცოტათი მაინც დაგესაბუთებიათ რითიმე და ისე მიგეწოდებიათ ხალხისთვის? მაგრამ მე ძალიან კარგათ ვიცი, რომ ამის დასაბუთება არ შეგიძლიათ თქვენ. არაფრისგან არაფერი არ შეიქმნება.

თქვენ ამბობთ, რომ ხალხი შეურიგებლათ უყურებს საბჭოთა ძალაუფლებას და პოლიტიკურ სპეკულიაციას ეწევით ამ „შეურიგებლობაზე". უბრალო წერა-კითხვის ცოდნა კმარა პოლიტიკაში იმის გასაგებათ, რომ ბრძოლის ტაქტიკა ვერ აშენდება მარტო შეურიგებლობით, მართლაც რომ ჰქონდეს ადგილი ამ შეურიგებლობას. ხალხს უნდა აუხსნა, სად არის და რაშია უკეთესი გამოსავალი. როცა ამისი ახსნა არ გიხერხდება, როცა გამოსავალს ვერ იძლევი, მაშინ რაც უნდა ხალხის ინტერესების დამცველათ გამოგქონდეს თავი, ობიექტიურად მტერი ხარ ხალხის.

კიდევ გირჩევთ, დაუსვით წერტილი და ნულარ გააგრძელებთ ამ ენამოჩლექილ ბავშვურ ტიტინს. ამითი თქვენ თითონ იტეხავთ სახელს და მე კი ვერაფერს მაკლებთ. რაც უნდა სიტყვის მფრქვეველები მომაყენოთ, მე ჩემ ხაზს გავატარებ. ჩემი ხაზია იდეური ბრძოლა, რომ ბოლო მოეღოს უიმედო იმედებს, ავანტიურას და იმ გონებრივ დაცლახავებას, რომელსაც იჩენთ თქვენ უკანასკნელ ფურცლებში. ჩემი ხაზია—თქვენმა მიმდევრებმა თავიდან მოიშორონ ის ფიქრი, რომ საქართველოს მოუვა საიდანმე „განმანთავისუფლებელი" ძალა. ჩემი ხაზია—ხალხმა შეიგნოს, რომ საბჭოთა ძალაუფლების ჩამოგდება ქართველ მშრომელ ხალხს დააყენებს ფიზიკური განადგურების და ფეოდალური რეაქციის წინ. ჩემი ხაზია—თანამშრომლობის საშუალებით ხელი შეეწყოს საქართველოს ეკონომიურ და კულტურულ წინსვლას. უკანაც რომ მიდიოდეს ახლა საქართველო, გაცილებით უარესი უკუღმა სიარული მოუხდება, რომ აქ ძალაუფლების შეცვლას ექნეს ადგილი და გაიდევნონ აქედან ბოლშევიკები.

მე ვეცდები შევათვისებინო ჩემ მოწინააღმდეგეებს ეს პოლიტიკური ანბანი.

ს. დევდარიანი.

P. S.

ჩემი ფოსტა.

ფოთი. ჩარხს.—თქვენ წერილში ბევრია პრინციპიალური ხასიათის ადგილები. ერთ-ერთ წერილში შემდეგ მოვიყვან ამ ადგილებს და გიპასუხებთ ვრცლად.

თბილისი. აქაურს.—თქვენი წერილი მეტისმეტად უშინაარსოა. პასუხს ნუ ელით.

P. P. S.

შეცდომის გასწორება.—ჩემს წინა წერილში:—„შეკითხვებზე და წერილებზე" ბოლოდან მესამე აბზაცში უნდა იყოს:—„ეს ზომა ისეთი გაზოვა, რუსეთის სინამდვილისთვის, რომ რეაქციის და ფეოდალური კონტრ-რევოლიუციის საშინელებას დაატეხს იმას თავზე".

ს. დ.

რადიო-დეპეშები

(„ზაკროსტა"-ს ცნობები)

ბესარაბიის საკითხის გარშემო

ჩვენ და რუმინეთი

საუბარი ამხ. კრესტინსკისთან

ვენა. 26 მარტი. ჟურნალისტებთან საუბრის დროს ამხ. კრესტინსკიმ ხაზი გაუსვა, რომ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 6 წლის შემდეგ მთელი მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრი დარწმუნდა, რომ საბჭოთა კავშირი მხნედ იცავს მშვიდობიანობას, ერთა თვითგამორკვევას.

ასეთი პოლიტიკის წყალობით საბჭოთა კავშირმა მეგობრული ურთიერთობა დაამყარა თავის მეზობლებთან ახლო აღმოსავლეთში და ცენტრალურ აზიაში.

განაპირა სახელმწიფოების,—რომლებიც წინათ მეფის რუსეთის ნაწილს შეადგენდენ,—თვითგამორკვევის უფლების აღიარება საუკეთესო დამამტკიცებელია იმისა, რომ საბჭოთა მთავრობა არ აწარმოებს იმპერიალისტურ პოლიტიკას.

საბჭოთა კავშირი რუმინეთის მიმართ მშვიდობიან და მეგობრულ მიზნებს იცავს. საბჭოთა დელეგაცია ჩამოვიდა ვენაში გულწრფელი სურვილით გადასჭრას და მოაგვაროს ყველა საკითხები რუსეთსა და რუმინეთს შორის. თუ რუმინეთი იზიარებს საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის მთავარ პრინციპებს, რომლებიც ემყარებიან სამართლიანობაზე, მშვიდობიანობის სურვილზე და ერთა თვითგამორკვევის უფლების აღიარებაზე, მაშინ კონფერენცია წარმატებით გადასჭრის თავის ამოცანებს.

ოკუპანტების წინააღმდეგ

ნიკოლაევში მცხოვრებ ბესარაბიელების ნაკაზი

ნიკოლაევი. 28 მარტი. ნიკოლაევში მცხოვრებმა ბესარაბიელებმა მოაწყვეს მრავალრიცხოვანი მიტინგი, რომელმაც 2000 ემიგრანტი ბესარაბიელის სახელით ერთხმად მიიღო ნაკაზი საბჭოთა დელეგაციისათვის ვენის კონფერენციაზე. ნაკაზი ავალებს დელეგაციას მოითხოვოს რუმინეთის ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანა ბესარაბიიდან, ბესარაბიიდან გატაცებული ქონების დაბრუნება, მოლდავეთის მუშურ-გლეხური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნა, რომელიც შევა საბჭოთა რესპუბლიკების ოჯახში.

ბესარაბიის ოკუპაციის გარშემო

ჩეხო-სლოვაკიის პრესა ბესარაბიის საკითხის შესახებ.

პრაღა. 26 მარტი. ნაციონალ-დემოკრატიული გაზეთი „ლიდოვე ნოვინი" ხაზს უსვამს საბჭოთა მთავრობის თვალსაზრისის სისწორეს, რომ ბესარაბიის ოკუპაცია უკანონოა და გამოსთქვამს იმედს, რომ ბესარაბიის საკითხი გადაჭრილი იქნება პლებისციტის საშუალებით ერთა ლიგის დახმარებით.

გაზეთი „ნაროდნი ოსვობოჟდენი" ხაზს უსვამს რუსეთის მთელ საზოგადოებრიობის სოლიდარობას ბესარაბიის საკითხში.

კომუნისტური „რუდე პრავო" სწერს: „ჩეხო-სლოვაკიამ უნდა დაამტკიცოს, რომ კავშირი რუმინეთთან გავლენას არ ახდენს ჩეხო-სლოვაკიის დამოკიდებულებაზე ბესარაბიის საკითხისადმი. ჩეხო-სლოვაკიის მთავრობამ არ უნდა შეუწყოს ხელი რუმინეთის პრეტენზიებს ბესარაბიაზე, არც ოფიციალურად და არც ნახევრად ოფიციალურად.

ამ საკითხში ჩეხო-სლოვაკიის ფართო მასსის სიმპატიები საბჭოთა კავშირის მხარეზეა. ძალიან ძნელად მოიპოვება სახელმწიფოებრივი მოღვაწე, რომელიც გაბედავს რუმინეთის პოლიტიკის დაცვას.

დელეგატების თავმჯდომარეები ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრთან.

ვენა. 26 მარტი. 26 მარტს საბჭოთა და რუმინეთის დელეგაციების თავმჯდომარეებმა ინახულეს ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრი გრიუნბერგერი და წინადადება მისცეს მას ეკისრა თავმჯდომარეობა კონფერენციაზე. გრიუნბერგერი დასთანხმდა. 27 მარტს, კონფერენციის გახსნის წინ დელეგაციების თავმჯდომარეები ოფიციალურად მივლენ სადარბაზოდ ავსტრიის პრემიერ ზეიპელთან.

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

ჩვენი კოოპერაციის მიღწევებს აღიარებენ

საერთაშორისო კოოპერატიულ კავშირის ალმასკომში.

პრაღა. 26 მარტი. საერთაშორისო კოოპერატიულ კავშირის ალმასკომის სხდომა დასრულდა მრავალრიცხოვანი კოოპერატიულ მიტინგით, რომელშიაც მონაწილეობას იღებდა 6000 კაცი. საბჭოთა კოოპერაციის წარმომადგენელს ხინჩუკს ხანგრძლივი ტაშით შეხვდენ, ისმოდა ხმები: „გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას და კომუნისტურ პარტიას". ხინჩუკმა გაიყვანა პარალელი კოოპერაციებს შორის პროლეტარულ დიქტატურის და ბურჟუაზიის პირობებში.

ინგლისის კოოპერატივების წარმომადგენელმა მეიმ განაცხადა, რომ ევროპა გარდაქმნილი იქნებოდა კოოპერატიულ საფუძვლებზე, თუ კოოპერატიული მოძრაობა სხვა სახელმწიფოებში ისეთივე წარმატებით წავიდოდა, როგორც საბჭოთა კავშირში.

ჩვენ და ჩინეთი

ჩინეთის მთავრობის სრული უძლურება.

ლონდონი. 26 მარტი. „დეილი ტელეგრაფის" პეკინელი კორესპონდენტი სწერს: „ჩინეთმა ხელმეორედ განაცხადა უარი მიაღწიოს ხელსაყრელ შეთანხმებას საბჭოთა კავშირთან, რაც ამტკიცებს ჩინეთის მთავრობის სრულ უძლურებას". კორესპონდენტის აზრით, ვანი მართალი იყო, როდესაც ამბობდა, რომ მოსკოვთან შეთანხმების ვადის გადადება უშუალოთ ემუქრება ჩინეთის სუვერენიტეტს.

ავსტრია

75,000 ცელის შესყიდვა.

მოსკოვი. 27 მარტი. ჩრდილოეთ-დასავლეთის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველომ ავსტრიაში შეისყიდა 75,000 ცელი გრძელვადიან კრედიტის პირობებში. ცელები მიეცემათ ჩრდილოეთ-დასავლეთის ოლქების გლეხებს.

ჩეხო-სლოვაკია

საბჭოთა წიგნების გამოფენა.

პრაღა. 27 მარტი. დაიხურა საბჭოთა წიგნის გამოფენა, რომელიც მოაწყო საბჭოთა რუსეთის სახელმწიფო გამომცემლობამ პრაგის ბაზრობაზე. გამოფენამ დიდი ინტერესი გამოიწვია. ერთი კვირის განმავლობაში მას ეწვია 15,000 კაცი.

საერთაშორისო კოოპერატიული კავშირის ალმასკომის სხდომა.

პრაღა. 27 მარტი. საერთაშორისო კოოპერატიული კავშირის ალმასკომის დამთავრებულმა სესიამ, საბჭოთა კავშირის დელეგატების წინადადებით, ერთხმად მიიღო საპროტესტო რეზოლიუცია ბულგარეთის მთავრობის მიერ კომუნისტური კოოპერატიული კავშირის დევნის წინააღმდეგ.

ფინეთი

კონფერენცია საფოსტო-სატელეგრაფო კონვენციის შესახებ.

ჰელსინგფორსი. 27 მარტი. გაიხსნა კონფერენცია საბჭოთა კავშირსა და ფინეთს შორის საფოსტო-სატელეგრაფო კონვენციის დასადებად.

პოლონეთი

პოლონეთის პრესა საბჭოთა კავშირის შესახებ.

ვარშავა 27 მარტი. პოლონეთის პრესა კომენტარიებს უკეთებს კალინინის სიტყვას ბელორუსიის საბჭოთა ყრილობაზე. გაზეთები აღნიშნავენ, რომ პოლონეთი სდებს სავაჭრო ხელშეკრულებას საბჭოთა კავშირთან არა ეკონომიური აუცილებლობის გამო, არამედ იმიტომ, რომ მას სურს მტკიცე მშვიდობიანი ურთიერთობის შექმნა აღმოსავლეთში.

სიმართლისათვის.

ვარშავა. 25 მარტი. სახალხო დემოკრატებმა მიმართეს სეიმის მარშალს მოთხოვნილებით პასუხისგებაში იქნეს მიცემული ბელორუსიის დეპუტატი ტარაშკევიჩი, რომელმაც სეიმში განაცხადა, რომ პოლონეთს არ აქვს უფლება პრეტენზია განაცხადოს მემელზე, რომელიც ბელორუსიისათვის წარმოადგენს ბუნებრივ გასავალს ზღვაზე. ტარაშკევიჩმა დასძინა, რომ ბელორუსია წარმოადგენს დამოუკიდებელ სახელმწიფოს პოლონეთის საზღვრებს იქით.

სახალხო დემოკრატები ამაში ხედავენ სახელმწიფო ღალატს.

ოსმალეთი

რუსეთ-აღმოსავლეთის სავაჭრო პალატის დელეგაციის ჩასვლა.

ანგორა. 27 მარტი. ანგორაში ჩავიდა რუსეთ-აღმოსავლეთის სავაჭრო პალატის დელეგაცია, რომელსაც სადგურზე შეხვდენ ანგორის სავაჭრო პალატის მეთაური, გარეშე საქმეთა კომისარიატის და ვაჭრების წარმომადგენლები. 28 მარტს მოხდა დელეგაციის მიღება ანგორის სავაჭრო პალატის მიერ, რომელსაც დაესწრენ ვაჭრობის კომისარი, გარეშე საქმეთა კომისარიატის უმაღლესი თანამდებობის პირები და საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ოსმალეთში—სურიცი.

იტალია

საერთაშორისო კონგრესი ემიგრაციის და იმიგრაციის საქმის მოსაგვარებლად.

მოსკოვი. 28 მარტი. საბჭოთა კავშირის მთავრობა მიწვეულია საერთაშორისო კონგრესზე, რომელიც იმართება ემიგრაციის და იმიგრაციის საქმეების მოსაგვარებლად, კონგრესი გაიხსნება რომში 15 მაისს, 40 სახელმწიფოს მონაწილეობით.

აჯანყება სირიაში

გლეხთა მოძრაობა.

ანგორა. 26 მარტი. აჯანყება სირიაში ფართო ხასიათს ღებულობს. ფრანგების მიერ სამი სოფლიდან გამოწვეული სირიელი გლეხები თავს დაესხენ რკინისგზის სადგურს. შეტაკების დროს მოკლულია სადგურის მოსამსახურე. საფრანგეთის კომისარი მიემგზავრება პარიზში, სადაც მოხსენებას გააკეთებს შექმნილი მდგომარეობის შესახებ.

სირიის ნაციონალისტების დევნა.

ანგორა. 27 მარტი. გენერალმა ვეიგანდმა დახურა არაბული გაზეთი, რომელიც ბეირუტში გამოდიოდა. სირიის ნაციონალური პარტიის ლიდერი ევროპაში გაიქცა.

მდგომარეობა სპარსეთში

საუბარი ამხ. შუმიაცკისთან

27 მარტს სადამოს ბაქოდან თბილისში ჰაეროპლანით ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი სპარსეთში ამხ. ბ. ზ. შუმიაცკი; მისი ჩამოსვლის მიზანი იყო მთელი რიგი საკითხების განხილვა ა. კ. ფ. ს. ს. რ. პასუხისმგებელ ამხანაგებთან ერთად. მეორე დღეს დილით ამხ. შუმიაცკი გაფრინდა მოსკოვისაკენ, სადაც ის მივლინებულია სამსახურის საქმეების გამო.

ჩვენი გაზეთის თანამშრომელთან საუბრის დროს ამხ. შუმიაცკიმ გაუზიარა მას თავისი შთაბეჭდილებები სპარსეთში მომხდარ ამბების შესახებ.

რევოლიუციონური მოძრაობა, სთქვა მან, რომელიც პირველათ დაიწყეს სამხედრო პირებმა, უკანასკნელ დღეებში გადაიქცა სპარსეთის ქალაქთა მოსახლეობის მასიურ მოძრაობათ; სპარსეთის მოსახლეობა მოითხოვს ნაციონალურ რესპუბლიკის შექმნას.

როგორც კი გამოაშკარავდა ეს გარდატეხა, როგორც კი დაიწყო აგიტაცია რესპუბლიკის შექმნის სასარგებლოთ, რომელსაც პირველ ხანებში აწარმოებდენ მოხუცებულ პრინცის ფერმონ-ფერმის ტიპის ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენლები და როდესაც ეს მოძრაობა შეიცვალა მასების აგიტაციით „ნამდვილ რესპუბლიკის" სასარგებლოთ, მაშინ გამოირკვა იმ პირთა ნამდვილი სახე, რომელთაც, მათივე სიტყვებით, სურთ მხოლოდ გადატრიალების მოხდენა.

„ნამდვილი რესპუბლიკის" იგივე მომხრეები—ნაციონალისტები სახელმწიფო გადატრიალების გეგმაში ხედავენ ძველი გეგმის განხორციელებას, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ ქვეყანა მუდამ შიშის ქვეშ იმყოფებოდეს.

სახელმწიფოში ერთ-ერთ შეკავშირებულ ძალას წარმოადგენს არმია, რომელსაც ხელმძღვანელობს ნიჭიერი სარდარ სეპახი; გადატრიალების მომხრეები ცდილობენ გამოიყენონ უკანასკნელი თავიანთ მიზნისათვის.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ სახელმწიფოს მცხოვრებთა აქტიური წრეები, ვაჭრები, მშრომელი ინტელიგენცია და პროგრესიული სასულიერო წოდება სათანადო წინააღმდეგობას გაუწევენ ამ გეგმას.

ამიტომ იმართება მთელს სახელმწიფოში მასიური მიტინგები, მანიფესტაციები, რომლებზედაც ხდება სახელმწიფო გადატრიალების საფრთხის განმარტება.

მცხოვრებლების ეს წრეები ეხლა მოითხოვენ დამფუძნებელი კრების მოწვევას მთავრობის ჩაურევლად; დამფუძნებელმა კრებამ უნდა შეიმუშაოს როგორც სახელმწიფოს კონსტიტუცია, ისე პოლიტიკური, ეკონომიური და სოციალური რეფორმები.

შეიძლება ითქვას, რომ ასეთი ენერგიული და ნიჭიერი სახელმწიფო მოღვაწე, როგორიც არის სარდარ სეპახი, გაითვალისწინებს ამ აუცილებლობას და ფაქტიურად მის მიერ გატარებულ ცალკე მხარეების ცენტრალიზაციას დააგვირგვინებს ნაციონალური განთავისუფლების პოლიტიკით და რეფორმების გატარებით.

ამ იმედით ცხოვრობს ეხლა მთელი სპარსეთის ხალხი, ასე ფიქრობენ სახელმწიფოს შეგნებული და აქტიური ელემენტები, რომელთა სახით პირველ რიგში უნდა წარმოვიდგინოთ ვაჭრები.

ისეთ სახელმწიფოში, როგორიც არის სპარსეთი, ვაჭრები წარმოადგენენ პროგრესიულ წრეებს, რადგანაც უკანასკნელები ყველაზე უფრო არიან დაინტერესებული ნაციონალურად დამოუკიდებელ პოლიტიკით და გარეშე ძალების გავლენის შესუსტებით.

პ.

ამხ. შუმიაცკის მოხსენება ბაქოში

ბაქო. 27 მარტი. 25 მარტს ბაქოს საბჭოს სხდომის დარბაზში გაიმართა აზერბეიჯანის კომპარტიის ბაქოს ორგანიზაციის პასუხისმგებელ მუშაკების კრება, რომელზედაც საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა სპარსეთში ამხ. შუმიაცკიმ ვრცელი მოხსენება გააკეთა სპარსეთში მდგომარეობის შესახებ.

ამხ. შუმიაცკიმ დახატა სპარსეთის საერთაშორისო მდგომარეობა იმპერიალისტურ ომამდი. ომის დროს მოქიშპე იმპერიალისტები ხელს უწყობდენ სპარსეთის სახელმწიფოებრივ დაშლას და ეკონომიური და

---

*) ანტირელიგიური მუშაობაში ჩვენ ამხანაგებს მართებთ დიდი სიფრთხილე ადგილობრივი პირობების მიხედვით.

ვეთანხმებით რა ავტორს იმაში, რომ საჭიროა ანტირელიგიური პოლიტიკის რაც შეიძლება საერთო ხაზის გატარება, ჩვენ საკამათოთ მიგვაჩნია მისი დებულება ახალი წესების ახლავე გატარების შესახებ და ადგილს მივსცემთ გაზეთში სხვა წერილებსაც ამ კითხვის ყოველმხრივ გასაშუქებლად.

რედაქცია.

თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმი ამით აცხადებს, რომ შაბათს ა. წ. 29-მარტს საღამოს 6 საათზე აღმასკომის დარბაზში დანიშნულია თბილისის აღმასკომის პლენუმის სხდომა.

დღის წესრიგი:

1) აღმასკომის 1924 წლის ბიუჯეტის განხილვა.
2) მიმდინარე საკითხები.

აღმასკომის ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

პრეზიდიუმი

პოლიტიკური კრიზისის გაძლიერება.

ამხ. შუმიაცკიმ აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის ეკონომიური მუშაობა დაიწყო მთელ რიგ უპირატესობათა მინიჭებით სპარსეთ-რუსეთის ვაჭრობისათვის.

სპარსეთის სოფლის მეურნეობას საშუალება მიეცა დაემზადებია პროდუქტები საგარეო ბაზრისათვის, სპარსეთის ვაჭრებს მიეცა შეღავათები ბაქოსა და ნიჟეგოროდის ბაზრობაზე. ეკონომიკასთან ერთად გაიღვიძა საზოგადოებრივმა შეგნებამაც. სპარსეთის მცხოვრებთა სხვადასხვა წრეები მიხვდენ, რომ საბჭოთა კავშირი არის ნაციონალურ მისწრაფებათა საერთაშორისო დასაყრდენი.

წვრილმა პოლიტიკურმა ჯგუფებმა, რომლებიც დაეყრდნენ დაწყებულ ეკონომიურ გამოცოცხლებას, სპარსეთის ჩრდილოეთ ნაწილში ვაჭრობისა და სასოფლო მეურნეობის ზრდას, შექმნეს ნაციონალური ბლოკი, რომლის ხელში გადავიდა ძალაუფლება 1923 წლის თებერვალში. ბლოკის მიერ შექმნილმა მთავრობამ დაიჩქარა მოლაპარაკება რუსეთ-სპარსეთის ხელშეკრულების შესახებ; საბჭოთა კავშირსა და სპარსეთს შორის მეგობრული ურთიერთობა დამყარდა.

მაგრამ ახალმა ეკონომიურმა და პოლიტიკურმა მდგომარეობამ, რომელიც შეიქმნა სპარსეთში საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის ნიადაგზე, ვერ შესძლო წინააღმდეგობის გაწევა იმპერიალისტების საუკუნოებრივი გავლენისათვის და ბლოკის მთავრობა, 5 თვის არსებობის შემდეგ, დაეცა. სპარსეთის მონარქიული და ფეოდალური ჯგუფები შეეცადენ გაეხადათ არმია ერთად ერთ რეალურ სახელმწიფო ძალათ და სახელმწიფო გადატრიალების იარაღად.

არმიის სათავეში დგას ნიჭიერი სარდალი, ხალხის წრიდან გამოსული რიზა ხანი.

ამ ჯგუფების ბრძოლა ჯერ კიდევ არ დასრულებულა. ამ ბრძოლაში ებმებიან მცხოვრებთა ფართე მასები, რომელთაც ეჯავრებათ ფეოდალური და რეაქციონური რეჟიმი და რომლებიც მიზნათ ისახავენ ნამდვილი ხალხოსნური რესპუბლიკის შექმნას.

კრებამ მადლობა გამოუცხადა ამხ. შუმიაცკის მისი საუცხოვო მოხსენებისათვის, სავსებით მოიწონა სრულუფლებიანი წარმომადგენლობის მუშაობა და დაავალა მას მომავალშიც განაგრძოს ენერგიული მუშაობა საბჭოთა კავშირსა და სპარსეთს შორის სავაჭრო ურთიერთობის გასაფართოებლად.

პუანკარეს „გადადგომა“

ისევ პუანკარე

პარიზი 26 მარტი. მილიერანმა მიიღო პუანკარეს განცხადება გადადგომის შესახებ, მაგრამ **რამდენიმე საათის შემდეგ ხელახლა გამოიძახა პუანკარე და წინადადება მისცა მას შეადგინოს ახალი კაბინეტი.** ოფიციალურ წრეებში საჭიროდ სთვლიან პუანკარეს დარჩენას ხელისუფლების სათავეში ისეთ მომენტში, როცა მოსალოდნელია მოლაპარაკება ექსპერტთა კომისიის მოხსენების გამო. ოფიციალურ წრეებს იმედი აქვთ, რომ მოლაპარაკება პუანკარესა და მაკდონალდს შორის დამთავრდება საფრანგეთ-ინგლისის შეთანხმებით. მემარცხენეებს არა აქვთ განზრახვა ხელში აიღონ ძალა-უფლება არჩევნების მოლოდინში და თავის მხრეზე ატარონ ნაციონალური ბლოკის მემკვიდრეობის მთელი სიმძიმე.

„ჟურნალ დედება“ სწერს, რომ კაბინეტი შედგენილი იქნება ხვალ პუანკარეს თავმჯდომარეობით.

გერმანიის ამბები

კომუნისტების მუშაობა პროფკავშირებში.

ბერლინი. 26 მარტი. 20 მარტს გავიდა ვადა, რომლის განმავლობაში კომუნისტებს, რომლებიც მუშაობდენ გერმანიის პროფკავშირების საყოველთაო გაერთიანებაში, ხელი უნდა მოეწერათ ვალდებულებაზე ამსტერდამის ინტერნაციონალის წესდების ცნობის და პროფინტერნთან და წითელ საერთაშორისო გაერთიანებასთან ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ. კომუნისტებმა უარი სთქვეს ვალდებულების ხელის მოწერაზე. პროფკავშირების საყოველთაო გაერთიანების პრეზიდიუმს ჯერ-ჯერობით არ მიუღია საწინააღმდეგო ზომები; მხოლოდ მოსამსახურეების ცენტრალურმა კავშირმა გამორიცხა 10 კომუნისტი, რომლებმაც ხელი არ მოაწერეს განცხადებაზე. **გერმანიის პროფკავშირების საყოველთაო გაერთიანებამ დაშლილად გამოაცხადა ჰალეში და მერზებურგში პროფკავშირების საოლქო საბჭო, რადგანაც ამ კავშირებში შედიან მხოლოდ კომუნისტები.**

ლონდონის ტრანსპორტის მუშათა გაფიცვა

გაფიცვა ფართოვდება.

ლონდონი, 27 მარტი. ლონდონის ტრანსპორტის მუშათა გაფიცვა მიწის ქვეშ რკინისგზის მუშა-მოსამსახურეებსაც მოედო. მემანქანეთა გაერთიანებულმა საზოგადოებამ წინადადება მისცა თავის წევრებს, რომლებიც მუშაობენ მიწის ქვეშ რკინისგზის ხაზზე, პარასკევს ღამით შესწყვიტონ მუშაობა. ხსენებული რკინისგზის მუშა მოსამსახურეთა დიდი ნაწილი მემანქანეთა გაერთიანებული საზოგადოების წევრია.

მაკდონალდმა თემთა პალატაში განაცხადა, რომ მოლაპარაკება ლონდონის ტრანსპორტის მუშებთან შეწყვეტილია და რომ ისინი მუშაობის შეჩერებას აპირებენ. მთავრობა აღიარებს, რომ ის ვალდებულია უზრუნველჰყოს საზოგადოებრივი ინტერესები.

ვინაიდან გაფიცვას დიდი ზიანის მოყენება შეუძლია, შექმნილი იქნება განსაკუთრებული კომისია შეთანხმების მისაღწევად. მაგრამ მაკდონალდი დარწმუნებულია, რო რაიმე ზომები მთავრობის მხრივ საჭირო არ იქნება

სხვადასხვა ამბები

ოსმალეთი

ოპოზიცია მოქმედებს.

ანგორა. 27 მარტი. კაბინეტის მოწინააღმდეგენი აქტიურად მუშაობენ იმისათვის, რათა არ მოხდეს შეთანხმება კაბინეტის დამხობის და პარტიაში გათიშვის შეტანის შესახებ. გამოირკვა, რომ ოპოზიცია, რომელიც ჩუმად იყო რეფორმის დროს, ამზადებდა ნიადაგს და ისარგებლა კონსტიტუციის სადაო მუხლით, როგორც აშკარად გამოსვლის საბაბით.

კოლონიებში.

ინგლისელები მოსულში.

ანგორა. 27 მარტი. ინგლისელებმა დაატუსაღეს მოსულში მრავალი ნაციონალისტი.

უფრო საიმედონი არიან.

ანგორა. 27 მარტი. ბრიტანეთის ჯარის სარდლობამ პალესტინაში ინდუსები ინგლისური ჯარებით შესცვალა.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

პოლონეთი

შეტაკება უმუშევრებსა და პოლიციის შორის.

ვარშავა. 27 მარტი. პოზნანიაში მოხდა შეტაკება უმუშევრებსა და პოლიციას შორის: უმუშევრები მოითხოვდენ დახმარების დარიგებას. დაჭრილია 20 მუშა.

4000-ზე მეტი პოლიტიკური პატიმარი.

ვარშავა. 25 მარტი. „ტრიბუნა რაბოტნიჩა“-ს ცნობით, **პოლონეთის ციხეებში იმყოფება 4000-ზე მეტი პოლიტიკური პატიმარი,** აქედან 1000-ზე მეტი კომუნისტია, 1500 ბელორუსი, დანარჩენი—უკრაინელები.

ინგლისი

ლონდონში მოსალოდნელია მიმოსვლის სრული შეწყვეტა.

ლონდონი. 27 მარტი. **ტრამვაის და ავტობუსების მოსამსახურეთა გაფიცვა გრძელდება გაფიცულების სრული ერთსულოვნებით.** მემანქანეების კავშირის აღმასკომი იხილავს საკითხს თანაგრძნობის ნიშნად მიწის ქვეშა გზების მოსამსახურეთა გაფიცვის გამოცხადების შესახებ. თუ ეს გაფიცვა გამოცხადდა, ლონდონს მოესპობა მიმოსვლის ყველა საშუალება.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

ელექტრონის მოწყობილობის გაიაფება.

მოსკოვი. 27 მარტი. სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს ტეხნიკურმა კანტორამ ისევ დასწია ფასები ელექტრონის შუშებზე და ელექტრონის მოწყობილობაზე, საშუალოთ 10 პროცენტით.

კომერციულ ბანკის ფილიალური განყოფილებანი.

მოსკოვი. 27 მარტი. ფინანსთა სახ. კომისარიატმა ნება დართო კომერციულ ბანკს გახსნას ფილიალები 9 ქალაქში, მათ რიცხვში ბაქოსა და ბათომში.

ჩრდილოეთში მოსავალს ცუდი პირი უჩანს.

ვოლოგდა. 27 მარტი. შემოდგომის ნათესები თოვლით დაფარულია, ნათესების მდგომარეობა საშუალოზე ნაკლებია. თუ გაზაფხულზე ყინვები დაიწყო, შემოდგომის ნათესები დაიღუპება.

ახკომკავშირის წევრები—ავიატორები.

მოსკოვი. 27 მარტი. რუსეთის ახკომკავშირის მოსკოვის კომიტეტმა დაადგინა გაიწვიოს თვითეულ რაიონიდან ათ-ათი წევრი საჰაერო ფლოტის მთავარ სამმართველოს სკოლის დასამთავრებლად.

გაზაფხული საბჭოთა კავშირში.

ლენინგრადი. 27 მარტი. მთავარ ფიზიკურ ობსერვატორიის ცნობით, ნემანის რაიონში ერთბაშად დაიწყება გაზაფხული. ევროპის რუსეთის დანარჩენ ნაწილში ამინდი ცვალებადი იქნება. სითბო განუწყვეტლივ შეიცვლება სიცივით, წვიმებ-გვალვით. ამინდის ასეთი ცვალებადობა გასტანს მაისის 20.

მენშევიკების გამოსვლა პარტიიდან.

ნიჟნი-ნოვგოროდი. 27 მარტი. ნიჟნი-ნოვგოროდის, სორმოვოს და კანავინის ყოფილ მენშევიკების კონფერენციამ დაადგინა გასწყვიტოს ყოველგვარი კავშირი მენშევიზმთან და იცნოს რუსეთის კომპარტია მუშების ერთ-ერთ ერთგულ ხელმძღვანელად.

ოდესის ნავთსადგური აღდგენილია.

ოდესა. 27 მარტი. განზრახულია ახალი ელევატორის აგება, რომელმაც უნდა დაიტიოს 3 მილიონი ფუთი ხორბალი. ოდესის ნავთსადგური თითქმის აღდგენილია. ოდესა კვლავ გახდა შავ ზღვაზე დიდი ნავთსადგური, მას შეუძლია ერთსა და იმავე დროს მიიღოს 32 საოკეანო გემი, თუ არ მივათვლით ადგილობრივად მცურავ გემებს.

ტრანსპორტის გაუმჯობესებისათვის

საუბარი ამხ. რუძუტაკთან

ოდესა. 28 მარტი. რუსეთის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს გზათა სახალხო კომისარმა ამხ. რუძუტაკმა განაცხადა, რომ სასოფლო მეურნეობის აღდგენისა და პურის ექსპორტის გაძლიერების გამო, სამხრეთის ნავთსადგურებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევათ საბჭოთა კავშირში. საექსპორტო ტვირთების უდიდესი ნაწილი, განსაკუთრებით კი იტალიაში და ახლო აღმოსავლეთში გასაგზავნი ტვირთები გაივლიან სამხრეთის ნავთსადგურებს, უმთავრესად ოდესას და ნიკოლაევს, რომელთაც მიეცემათ აუცილებელი კრედიტი იმ მიზნით, რომ აღადგინონ თეთრგვარდიელების მიერ დანგრეული შენობები. საბჭოთა კავშირის ყველა ნავთსადგურების გატარების საერთო უნარიანობა მიმდინარე წლისთვის განისაზღვრება 350 მილ. ფუთით, რომელთაგან 300 მილ. ფუთი ტვირთი გაივლის შავი და აზოვის ზღვის ნავთსადგურებს, დანარჩენი კი გატანილი იქნება ლენინგრადის ნავთსადგურიდან.

ჩვენი ტრანსპორტი.

ტრანსპორტის შესახებ ამხ. რუძუტაკმა განაცხადა, რომ თუ მხედველობაში მივიღებთ ტრანსპორტის საერთო მდგომარეობას, მაშინ ჯერჯერობით შეუძლებელია იმედი გვქონდეს ტარიფების შემცირების; მხოლოდ სურვილი ხელი შეუწყოთ საქონლის ფასების საერთო დაწევას, გვიკარნახებს ჩვენ არ გავადიდოთ ტარიფები. სახელმწიფო და სავაჭრო ფლოტის მდგომარეობა საერთოდ სავალალოა, რადგან ჩვენ გვიხდება მოქმედება ძველი საზღვაო ერთეულებით და დიდძალ თანხებს ვხარჯავთ უცხო სახელმწიფოების გემების ფრახტზე. სახელმწიფო იღებს ზომებს იმისათვის, რომ გასცეს აუცილებელი კრედიტი ტონაჟის შესავსებათ ახალი საზღვაო ერთეულებით.

ტრანსპორტის მძიმე ფინანსიური მდგომარეობის გამო რკინისგზელების და წყალზე მომუშავეთა მდგომარეობის შესამჩნევათ გაუმჯობესება შეუძლებელია, მაგრამ ნაწილობრივი ზომები ამ მიმართულებით უკვე მიღებულია, ეხლა მუშაობს გზათა სახალხო კომისარიატის, რკინისგზელთა და წყალზე მომუშავეთა წარმომადგენლებისაგან შემდგარი კომისია, რომელმაც უნდა გადასწყვიტოს საკითხი რკინისგზელთა საბინაო პირობების გაუმჯობესებისა და სატრანსპორტო კოოპერაციის გაძლიერების შესახებ. განზრახულია სესხის მიცემა საამშენებლო მასალებით საცხოვრებელ ბინების ასაგებათ რკინისგზელთათვის.

ლენინის ხსოვნისათვის

ამხ. ლენინის ხსოვნის აღსანიშნავი მიტინგი ჩინეთში.

პეკინი. 27 მარტი. ჩინეთის ჩვეულების თანახმად, სახალხო-რევოლიუციონურმა პარტიამ გომინდანმა მის შემდეგ, რაც მან კანტონში მიიღო ცნობა ამხ. ლენინის გარდაცვალების შესახებ, ხელმეორეთ პატივი სცა მის ხსოვნას. **ამხ. ლენინის ხსოვნის აღსანიშნავი მიტინგი გაიმართა საზოგადოებრივ ბაღში, მიტინგს დაესწრო 5.000 კაცი.** მორთულ ტრიბუნას ამშვენებდა ლენინის სურათი. ტრიბუნის ზევით სჩანს წარწერა: **„ლენინი—ყველა ხალხთა მეგობარი, მთელი მსოფლიოს მასწავლებელი“.** საპატივსაცემლო მიტინგი გაიხსნა სამგლოვიარო ჰიმნით და შესავალი სიტყვით, რის შემდეგაც სუნმა მიმართა დამსწრეებს შემდეგი სიტყვებით: „მუხლი მოვიდრიკოთ ლენინის სურათის წინაშე“. ყველა დამსწრეებმა ქუდები მოიხადეს, მიბრუნდნენ სურათისაკენ და სამჯერ დაიჩოქეს.

ორატორები ახასიათებდენ ლენინს, როგორც საერთაშორისო რევოლიუციის უდიდეს ბელადს, რომელიც იბრძოდა ყველა დაჩაგრულ ერების განთავისუფლებისათვის.

პარტია „გომინდან“-ის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოუშვა სპეციალური ბროშიურა, რომელშიაც მოყვანილია ლენინის მოკლე ბიოგრაფია. **სოციალისტური ახალგაზრდობის კავშირმა გამოუშვა ლენინისთვის მიძღვნილი პროკლამაცია.**

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აჭარა.

ახალი საზღვაო ხაზი.

ბათომი. 27 მარტს. იტალიის სანაოსნო საზოგადოებამ „სერვიცი მარიტიმი“-მ მოაწყო რეგულიარული მიმოსვლა ბათომთან. 26 მარტს ბათომში შემოვიდა პირველი გემი „იზელდა“.

სანატორიუმები.

ბათომი. 27 მარტი. ჯანმრთელობის სახ. კომისარიატი აწყობს ქობულეთში სანატორიუმს ფილტვების ავადმყოფობით დაავადებულთათვის. პირველ ხანებში სანატორიუმში მოთავსებული იქნება 50 კაცი.

აზერბეიჯანი

ბანდიტების შეპყრობა.

ბაქო. 26 მარტი აზერბეიჯანის საგანგებო კომისიამ დააპატიმრა 12 ბანდიტი კასრაძის მეთაურობით, რომელიც მოქმედებდა ტფილისის მიდამოებში და გადავიდა აზერბეიჯანში. დამტკიცდა ბანდიტების კავშირი ქართველ მენშევიკებთან.

ნახიჩევანის რესპუბლიკა.

ტელეფონების მოწყობა.

ნახიჩევანი. 26 მარტი. რესპუბლიკაში ტელეფონის ქსელის მომწყობმა კომისიამ წარადგინა ცაკში პროექტი დიდ სოფლებს შორის კავშირის მოწყობის შესახებ. ცენტრიდან მიღებულია 3 000 ფ. მავთული. მოელიან ბოძების მიღებას.

ყრილობები.

ნახიჩევანი. 26 მარტი. 25 მარტისათვის მოწვეული იქნება კომიჩეიკების ბიუროების სხდომა, 28 მარტს კულტურულ მუშაკთა თათბირი, 29 ნახიჩევანის ცაკის პლენუმი, 1 აპრილს დაიწყება პროფკამპანიის ჩატარება.

სომხეთი

პარტიაში.

ერევანი. 27 მარტი. **უკანასკნელ ხანებში ახკომკავშირის რიგებში მიღებულია ერევანში 159 კაცი, აქედან 80 პროცენტი მუშაა, ლენინაკანში 75 კაცი—ახალგაზრდა მუშა.** სად. არარატში დაარსდა ახალი იაჩეიკა 7 უპარტიო ახალგაზრდა მუშისაგან.

გმირი—მემანქანე.

ერევანი. 27 მარტი. ანი-ალაგეზის ხაზზე მატარებელი ძალიან საშიშარ ადგილას გადავარდა რელსებიდან. მემანქანემ არ დაჰკარგა სულიერი სიმშვიდე და დროზე შეაჩერა მატარებელი. კატასტროფა თავიდან იქნა აცილებული.

პარტიული ცხოვრება

მოდიან პარტიაში

არსენალის რაიკომი იტყობინება, რომ ქვემოდ ჩამოთვლილმა ტრამვაის მუშებმა შემოიტანეს რაიკომში განცხადება კომუნისტურ პარტიაში შემოსვლის სურვილის შესახებ.

არსენალის რაიკომი სთხოვს ყველა ამხანაგებს და იმ პირებს, რომელთაც აქვთ რაიმე მამხილებელი საბუთი ქვემოდ დასახელებულ ამხანაგების წინააღმდეგ, შემოიტანონ ასეთები რაიკომში (პლეხანოვის პრ. № 96).

1) დავით როსტომოვი, 2) ხაჩატურ არუტიუნოვი, 3) ლევან ყანდარელი, 4) ნიკოლოზ კიტუაშვილი, 5) ვლადიმირ მამარდაშვილი, 6) არტემ გალუსტოვი, 7) ილარიონ ციტიაშვილი, 8) ნიკოლოზ გოგიშვილი, 9) კონსტანტინე სატურაძე, 10) ივანე ლაშქარაშვილი, 11) იეგორ ოგანესოვი, 12) პეტრე ოვდალოევი, 13) გევორქ ხაჩატუროვი, 14) ვიქტორ კუვშინოვი, 15) გრიგოლ სუკიასოვი, 16) ნაზარ ოვანესოვი, 17) არაქელ ფარუზოვი, 18) სამსონ გასპაროვი, 19) იოსებ ოგანესოვი: 20) ვასილ მატენკო.

მდივანი მახსუდია.

შორაპნის სამაზრო პარტსკოლა

შორაპნის სამაზრო პარტსკოლა გაიხსნა 1923 წლის 6 დეკემბერს. მსმენელები იყო სულ 41, ამ რიცხვში სამი ქალი. 15 დეკემბერს მოხდა მსმენელების გადასინჯვა შემოწმება. ვის როგორი ცოდნა ქონდა; ამ გადასინჯვის დროს აღმოჩნდა 7 კაცი და 1 ქალი, რომლებიც ვერ შესძლებდენ პარტსკოლაში სწავლას და ისინი დაბრუნებულნი იქნენ თავიანთ რაიონებში. დარჩა 31 კაცი და 2 ქალი, რომლებსაც ორი კვირის შემდეგ მოემატა 4 ამხანაგი.

შკოლის სამეურნეო ნაწილის გამგეთ დანიშნულ იქნა სამაზრო პარტკომის განკარგულებით ამხანაგი სვიმონ წულიკიძე; შკოლის გამგეთ კი—ამხანაგი გრიშა გოზიბერიძე, რომლის ხელმძღვანელობითაც 17 დეკემბრიდან რეგულიარულად დაიწყო მეცადინეობა. ქართულში, ანგარიშში, პოლიტიკურ ეკონომიაში, ბუნების მეტყველებაში და ეკონომიურ გეოგრაფიაში. სკოლაში არსებობს კომპარტიის და კომკავშირის უჯრედი მსმენელების საცხოვრებელი სახლი წარმოადგენდა მხოლოდ მარტო ცარიელ ოთახებს, მათში არაფერი არ მოიპოვებოდა. სამეურნეო ნაწილის გამგეს ენერგიული მუშაობით შესძლო ყველაფრის მოგვარება, მსმენელთა ბინის გაუმჯობესება, შეკეთება. თუ წინეთ წყლის მოსატანი ქურქელიც არ მოგვეპოვებოდა, დღეს პარტშკოლა ყოველი მხრით უზრუნველ ყოფილია. წინეთ თუ ნარებზე ვწვებოდით, ეხლა მშვენიერი „ქუშეტკები“ გვაქვს, ზედ მშვენიერი ლოგინით, რომელიც სხვა ტანსაცმელთან ერთად მოგვიტანეს თბილისიდან, სხვათა შორის პარტსკოლაში მოგვემატა ორი სამოსწავლო საგანი: მსოფლიო ისტორია და კონსტიტუციის მნიშვნელობა. ბოლო ხანებში შკოლაში დაარსდა დრამატიული წრე, რომელიც შესდგება 20 სცენის მოყვარისაგან. ერთი სიტყვით სკოლის მდგომარეობა ყოველ მხრივ გაუმჯობესდა, როგორც მოწყობილობის, ისე მეცადინეობის მხრივ და სრული იმედი უნდა ვიქონიოთ რომ მსმენელები სკოლაში სათანადო მომზადების შემდეგ შესძლებენ იმ გზით სვლას, რომელიც გაგვიკაფა ძვირფასმა ბელადმა ლენინმა.

ვლ. ბაკურაძე.

ოზურგეთი

პარასკევს, 21 მარტს ერთიან პარტიულ დღეს შესდგა ქ. ოზურგეთის კომუჯრედის გაერთიანებული კრება კანდიდატებთან ერთად; კრებაზე განხილულ იქნა ორი უმთავრესი საკითხი: ინფორმაციული მოხსენება ცეკას პლენუმის მუშაობის შესახებ და გლეხთა კომიტეტის მუშაობის ანგარიშები.

პირველი საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს ცეკას წევრი ამხ. ა. დოლიძე, რომელიც დამსწრეთ აცნობს ცეკას უკანასკნელ პლენუმის მუშაობას; უმთავრესათ ამხ. მომხსენებელი შეჩერდა და მუხლობრივათ განმარტა მეცამეტე პარტკონფერენციის დადგენილებებზე, რომლებიც მიმართულია ჩვენი პარტიის მთლიანობის და ძლიერების განმტკიცებისაკენ.

შემდეგ ამხანაგმა აღნიშნა და ხაზი გაუსვა ცეკას პლენუმის დადგენილებებს სამუშაო ხელფასის და ფინანსიური რეფორმის შესახებ, რომელიც დამამტკიცებელია ჩვენი რესპუბლიკების მტკიცე და ურყევი მდგომარეობისა. მოხსენებამ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა ამხანაგთა შორის.

შემდეგი საკითხის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. სურგულაძე. მოხსენების შემდეგ იყო შეკითხვები, რაზედაც მომხსენებლებმა გასცეს დამაკმაყოფილებელი პასუხი. კრება დაიხურა ათ საათზე. მორიგ პარტიულ დღეს განხილულ იქნება ფუფუნების წინააღმდეგ ბრძოლა და სამაზრო აღმასკომის ანგარიშები.

აღსანიშნავია პარტიულ მუშაობაში ის გარემოება, რომ პარტწევრთა შორის დიდი აღმზრდელობითი მუშაობაა, ხელმძღვანელ ორგანოების მიერ ინფორმაციულ ანგარიშების მიცემა პარტიულ მასებში. სასურველია ასეთი მოხსენებების გადატანა რაიონის ორგანიზაციებში მიმაგრებულ ამხანაგებს მიერ.

ა.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი ტფილისში.

(29 მარტი)

ჩერვონცები —	25 000	მილ.
გირვ. სტერლინგ ეფექტ.	20.400	„
„ ჩეკები —	18.700	„
დოლარი ეფექ. —	4900	„
„ ჩეკები —	4650	„
ოსმ. ქაღ. ლირა —	2650	„
იტალიური ლირა —	200	„
ფრანგული ფრანკი —	250	„

ბიულეტენი

ა. კ. სახ. ფინკომთან არსებული კურსის დამწესებელი საგანგებო კომისიისა.

(29 მარტი)

ოქროს მანეთი 2.500 მილ.

მუშკოოპის ფასები.

(29 მარტი)

პური 2 ხარ.—136,000 ათასი, ძროხის ხორცი—792,000 ათ., შაქარი რაფინადი 919,000 ათ, შაქარი ფხვნილი—672,000 ათ., ბრინჯი ადგ. 264,000 ათ. კარტოფილი—72,000 ათასი.

ტფილისის ბაზრის ფასები.

(29 მარტი)

პური 1 ხარ.-300.000 ათ პური 2 ხარ.—200,000 ათ., ძროხის ხორცი—950,000 ათ., ღორის ხორცი—1,000,000 ათ., შაქარი რაფინადი—1,000,000 ათ,. შაქარი ფხვნილი—725,000 ათ., ბრინჯი ადგ.—450,000 ათ., კარტოფილი—100,000 ათასი.

ბირჟის მიწოდება.

(29 მარტი)

მზესუმზირას ზეთი, მანანის ფეტვი, მარტენის მავთული, ჩაი ([illegible] და ჩინეთის, ნაწლევები, სპილენძი (ფურცლოვანი), ტყავის ღვედები, „საზარომტრესტ“-ის პროდ., „კოქსინდიკატ“-ის პროდუქცია, ხორბალი და პურეული, რუს. მანუფაქტურა, „ხლებოპროდუქტ“-ის ფქვილი, ქიმიური ნაწარმოები, ცემენტი, ეტერნიტი, ფანჯრის მინა, კაუსტიური სოდა, ასანთი რუს., სახალხო მეურნ. საბჭოს საპნის და საფეიქრო ტრესტის პროდუქცია (საპონი „პეტუხ“ და ტუალეტის, ნართავი, ოლიფას ზეთი და სხვ.), ერევნის მატყლი, პაპიროსის ქაღალდი, გაზეთის ქაღალდი, ყავა „მოკკო“, თხილი, შაბიამანი, შაბი განჯის, გოგირდი, კარაქი.

ბირჟის მოთხოვნილება

მატყლი თუშური, რუს. მანუფაქტურა, (ნარმა, ჩითი), შაბიამანი ნედლი ტყავეულობა, ყუბანის ფქვილი („რაზმოლ“), ტეხნიკური ცხიმები, „კოქსინდიკატ“-ის პროდუქცია, შაქარი რაფინადი, სალმასი, მზესუმზირას ზეთი, ასანთი რუს., ქვა-მარილი ნახიჩევანის, პორტლანდის ცემენტი.

საქონლის ბაზრის მიმოხილვა

საქონლის ბაზარზე შესამჩნევი ცვლილება არ მომხდარა.

ჩერვონცების და ა.-კავკასიის ბონების შეფარდება

(29 მარტი)

ჩერვ.	ბონით	ჩერვ.	ბონით.
1 ჭ.—	25.000.000	56 ჭ.—	1.400.000.000
2 ჭ.—	50.000.000	57 ჭ.—	1.425.000.000
3 ჭ.—	75.000.000	58 ჭ.—	1.450.000.000
4 ჭ.—	100.000.000	59 ჭ.—	1.475.000.000
5 ჭ.—	125.000.000	60 ჭ.—	1.500.000.000
6 ჭ.—	150.000.000	61 ჭ.—	1.525.000.000
7 ჭ.—	175.000.000	62 ჭ.—	1.550.000.000
8 ჭ.—	200.000.000	63 ჭ.—	1.575.000.000
9 ჭ.—	225.000.000	64 ჭ.—	1.600.000.000
10 ჭ.—	250.000.000	65 ჭ.—	1.625.000.000
11 ჭ.—	275.000.000	66 ჭ.—	1.650.000.000
12 ჭ.—	300.000.000	67 ჭ.—	1.675.000.000
13 ჭ.—	325.000.000	68 ჭ.—	1.700.000.000
14 ჭ.—	350.000.000	69 ჭ.—	1.725.000.000
15 ჭ.—	375.000.000	70 ჭ.—	1.750.000.000
16 ჭ.—	400.000.000	71 ჭ.—	1.775.000.000
17 ჭ.—	425.000.000	72 ჭ.—	1.800.000.000
18 ჭ.—	450.000.000	73 ჭ.—	1.825.000.000
19 ჭ.—	475.000.000	74 ჭ.—	1.850.000.000
20 ჭ.—	500.000.000	75 ჭ.—	1.875.000.000
21 ჭ.—	525.000.000	76 ჭ.—	1.900.000.000
22 ჭ.—	550.000.000	77 ჭ.—	1.925.000.000
23 ჭ.—	575.000.000	78 ჭ.—	1.950.000.000
24 ჭ.—	600.000.000	79 ჭ.—	1.975.000.000
25 ჭ.—	625.000.000	80 ჭ.—	2.000.000.000
26 ჭ.—	650.000.000	81 ჭ.—	2.025.000.000
27 ჭ.—	675.000.000	82 ჭ.—	2.050.000.000
28 ჭ.—	700.000.000	83 ჭ.—	2.075.000.000
29 ჭ.—	725.000.000	84 ჭ.—	2.100.000.000
30 ჭ.—	750.000.000	85 ჭ.—	2.125.000.000
31 ჭ.—	775.000.000	86 ჭ.—	2.150.000.000
32 ჭ.—	800.000.000	87 ჭ.—	2.175.000.000
33 ჭ.—	825.000.000	88 ჭ.—	2.200.000.000
34 ჭ.—	850.000.000	89 ჭ.—	2.225.000.000
35 ჭ.—	875.000.000	90 ჭ.—	2.250.000.000
36 ჭ.—	900.000.000	91 ჭ.—	2.275.000.000
37 ჭ.—	925.000.000	92 ჭ.—	2.300.000.000
38 ჭ.—	950.000.000	93 ჭ.—	2.325.000.000
39 ჭ.—	975.000.000	94 ჭ.—	2.350.000.000
40 ჭ.—	1.000.000.000	95 ჭ.—	2.375.000.000
41 ჭ.—	1.025.000.000	96 ჭ.—	2.400.000.000
42 ჭ.—	1.050.000.000	97 ჭ.—	2.425.000.000
43 ჭ.—	1.075.000.000	98 ჭ.—	2.450.000.000
44 ჭ.—	1.100.000.000	99 ჭ.—	2.475.000.000
45 ჭ.—	1.125.000.000	1 მ.	2.500.000.000
46 ჭ.—	1.150.000.000	2 მ.	5.000.000.000
47 ჭ.—	1.175.000.000	3 მ.—	7.500.000.000
48 ჭ.—	1.200.000.000	4 მ.—	10.000.000.000
49 ჭ.—	1.225.000.000	5 მ.—	12.500.000.000
50 ჭ.—	1.250.000.000	6 მ.—	15.000.000.000
51 ჭ.—	1.275.000.000	7 მ.—	17.500.000.000
52 ჭ.—	1.300.000.000	8 მ.—	20.000.000.000
53 ჭ.—	1.325.000.000	9 მ.—	22.500.000.000
54 ჭ.—	1.350.000.000	1 ჩერ	25.000.000.000
55 ჭ.—	1.375.000.000		

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის კომისარიატისაგან

საქართველოს ს. ს. რ. მუშებს, გლეხებს და ყველა მშრომელთ

ამხანაგებო! მსოფლიო პროლეტარიატის ბელადმა ამხ. ლენინმა თავის უკანასკნელ შემოქმედება უძღვნა მუშათა და გლეხთა ინსპექციის რეორგანიზაციის საკითხს.

რუსეთის კომპარტიის მე-12 ყრილობამ მიიღო ამხ. ლენინის იდეა და განახლებულ მუშათა და გლეხთა ინსპექციას დააკისრა სახელმწიფო და სამეურნეო აპარატის გაუმჯობესება, ბრძოლა უმოქმედობის, ბიუროკრატიზმის, საქმის გაჭიანურების, თანამდებობის პირთა მიერ მშრომელთა ინტერესებისადმი უყურადღებოთ მოპყრობის და სხვა ბოროტებათა წინააღმდეგ, რომელიც აშორებს სახელმწიფო აპარატს მუშებს და გლეხებს და ქმნის მას მიუწვდომლათ მშრომელთა ფართო მასებისათვის.

სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესება—კანცელიარულ საქმის გაჭიანურების, ბიუროკრატიზმის და სხვა უარყოფით მხარეების აღმოფხვრა მოითხოვს ხანგრძლივ, თავდადებულ და გეგმაშეწონილ მუშაობას.

მუშათა და გლეხთა ინსპექცია მხოლოდ მაშინ შესძლებს ამ მეტად სიმპატიურ და რთულ ამოცანის შესრულებას, თუ მას ამ საქმეში დახმარებას გაუწევენ მუშების და გლეხების ფართო წრეები. ამ უკანასკნელთა თანაგრძნობაზე, აქტივობაზე, თვითმოქმედებაზე და პროლეტარულ ინიციატივის გამომჟღავნებაზე არის დამყარებული მ. | გ. ინსპექციის მუშაობის ნაყოფიერება.

თავის მხრივ მ. | გ. ინსპექცია ყოველგვარ ზომებს მიიღებს, რათა მიაღებინოს მონაწილეობა თავის მუშაობაში მშრომელთა ფართო წრეებს.

საქართ. მ. | გ. ინსპექციასთან მისი რეორგანიზაციის შემდეგ დაარსდა და უკვე შეუდგა მუშაობას საჩივართა ბიურო, რომლის მოვალეობასაც შეადგენს მიიღოს მშრომელთაგან და განიხილოს საჩივრები და განცხადებები, რომელიც შეიცავენ მითითებას: **სახელმწიფო აპარატის სხვადასხვა უარყოფით მხარეებზე, ბიუროკრატიზმზე, კანცელიარულ საქმის გაჭიანურებაზე და მშრომელთა ინტერესებისადმი უყურადღებოთ მოპყრობაზე.**

საჩივართა ბიუროში განცხადების შეტანისათვის არავითარი ფორმალობის ასრულება საჭირო და სავალდებულო არ არის. იქ მიიღება განცხადებები, როგორც წერილობითი, ისე სიტყვიერად.

საჩივართა ბიურო სიამოვნებით მიიღებს ყველა შენიშვნებს, რომელსაც შეუძლია თუნდაც მცირე წვლილი შეიტანოს სახელმწიფო და სამეურნეო აპარატის გამარტივება—გაუმჯობესების საქმეში, განიხილავს მათ და შეეცდება საჭირო ზომების ცხოვრებაში გატარებას.

განცხადებები საჩივართა ბიუროს სახელზე სრულიად განთავისუფლებული არიან სალერბო და სხვა ყოველგვარ გადასახადისაგან.

განახლებულ საჩივართა ბიუროს არ შეუძლია მიმართოს ყველას და ყველაფერზე. ის არის ორგანო, მუშების და გლეხების ინტერესების დამცველი და მხოლოდ მათ შეუძლიათ მიმართონ მას თავიანთი განცხადებებით და შენიშვნებით.

საჩივართა ბიურო არ იღებს ისეთ განცხადებებს (წინააღმდეგ ძველი საჩივართა ბიუროსი), რომელიც მიმართული არის მოქალაქეთა კერძო უფლებრივი ინტერესების დაცვისაკენ, როგორც მაგალითად: სამსახურიდან უკანონოთ დათხოვა, მიწის უკანონოთ ჩამორთმევა, ბინიდან გადასახლება და სხვა. ასეთი საკითხების განხილვა შეადგენს პროკურატურის და საერთო სასამართლოს ორგანოების უფლება-მოვალეობას.

პროფკავშირთა ძირითად ორგანიზაციებმა (ფაბქარხკომები, ადგილკომები), პარტიულმა იაჩეიკებმა, გლეხთა კომიტეტებმა, მუშათა და გლეხთა ინსპექციის დამხმარე იაჩეიკებმა უნდა განუმარტონ მუშებს და გლეხებს კერძო საუბარში, სხდომებზე და საზოგადო კრებებზე მუშათა და გლეხთა ინსპექციის და მისი საჩივართა ბიუროს უფლება-მოვალეობანი, აუხსნან მათ რა წესით და რა ხასიათის განცხადებები უნდა იქნენ შეტანილი საჩივართა ბიუროში.

ამხანაგებო, მუშებო და გლეხებო, თქვენ შეგნებაზე, თანაგრძნობაზე და ამ საქმისადმი ინტერესით მოპყრობაზე არის დამყარებული საჩივართა ბიუროს მუშაობის ნაყოფიერება.

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექცია მოგიწოდებთ ყველას დაეხმაროთ მას იმ დიდ საქმის განხორციელებაში, რომელიც დაგვავალა ჩვენმა მასწავლებელმა ამხ. ლენინმა.

მისამართი: რუსთაველის პრ. № 24. მუშათა და გლეხთა ინსპექცია.

საქ. მ. გ. ინსპექ. სახ. კომისარი **კახიანი.**

საჩივართა ბიუროს გამგე, კოლეგიის წევრი კვარაცხელია.

თბილისის კომუნალური მეურნეობა 1923 წელში

III

კომუნალურ წარმოებათა მდგომარეობა

1) ტრამვაი.

ტრამვაის მუშაობა 1923 წლის განმავლობაში საგრძნობლად გაუმჯობესდა და გაძლიერდა.

მუშაობის ნაყოფიერების ზრდა პირველ ყოვლისა გამოიხატა დღიურად მოძრაობაში მყოფ ვაგონების საშუალო რიცხვის გადიდებაში, რაც ნათლად ჩანს ქვემოდ მოყვანილი ცნობიდან.

მოძრაობაში იყო

დღეში	მოტორიანი ვაგონი	მისაბმელი ვაგონი
1921 წ.	6.912	1.768
1922 წ.	10.013	2.227
1923 წ.	11.775	4.802

ამ რიგად დღეში საშუალოდ მოძრაობაში ყოფილა

	მოტორიანი ვაგონი	მისაბმელი ვაგონი
1921 წ.	25,2	3,2
1922 წ.	27,8	6,18
1923 წ.	32,26	13,16

მოძრაობაში მყოფ ვაგონების რიცხვის გადიდებასთან გაიზარდა აგრეთვე ვაგონებით გადაყვანილი მგზავრების რიცხვი. აქაც საინტერესოა გადაყვანილი მგზავრების რაოდენობის შედარება წლების მიხედვით.

გადაყვანილია ტრამვაით სულ:

1921 წ.—5 643 კაცი. 1922 წელს—11.765 405 კაცი. 1923 წელს—14.444.209 კაცი.

ამრიგად 1923 წელს ტრამვაით გადაყვანილი მგზავრების რიცხვი 1921 წელთან შედარებით გაიზარდა 158 პროც.-ით, 1922 წელთან შედარებით კი—24 პროც.-ით.

თითქმის ყველა ის მიზნები, რომელიც დაისახა ტრამვაის მმართველობამ 1923 წლისათვის განხორციელებულია.

გაძლიერებულია ტრამვაის მოძრავე შემადგენლობა. როგორც ზევით დავინახეთ მოძრაობაში მყოფ ვაგონების რიცხვი დღიურათ აყვანილია 45 დე, 1922 წელს კი 33 იყო.

აგებულია ახალი ვაგონები, სამგზავრო და ხორცის გადასატანი. რაც აღსანიშნავია ეს ის, რომ მთელი ეს მუშაობა შესრულებულია ადგილობრივ ტრამვაის სახელოსნოებში საკუთარი მასალით.

გაყვანილია ახალი ხაზები ფუნიკულიორამდი და ნავთლუღამდი.

მოკირწყლულია ტრამვაის გზები 9,000 კვადრ. საჟენამდი.

მრავალ ადგილებში შეცვლილია უვარგისი რელსები.

დაკვეთილია ახალი რელსები და ტრამვაისათვის საჭირო სხვა მასალები.

გაძლიერდა ტრამვაის სახელოსნოების მუშაობაც. მთელი წლის განმავლობაში დამზადებულია რამდენიმე სრულიად ახალი ვაგონი, ბევრ ვაგონს რემონტი გაუკეთდა.

საერთოდ ტრამვაის მუშაობის ზრდა სჩანს იქიდანაც, რომ გადიდებულია მუშების რიცხვი. 1923 წლის იანვარში მუშების რიცხვი უდრიდა 692 კაცს, დეკემბერში კი უკვე 783. მოსამსახურეების რიცხვი კი ამავე პერიოდის განმავლობაში 102-დან 97-დი იქნა დაყვანილი.

შემოსავალი 1923 წლის 11 თვის განმავლობაში უდრის 428,606 მ. 86 კ. ხარჯები 396,198 მან. 4 კაპ. წმინდა შემოსავალი 32,408 მ. 82 კ. ეს იმ დროს, როცა ტრამვაის მმართველობამ გაიყვანა ტრამვაის ახალი ხაზები, მოკირწყლულია ტრამვაის გზები, გამოცვლილია ძველი რელსები და სხვა დიდი ხარჯებია გაწეული.

ამრიგად უნდა ითქვას, რომ ტრამვაი კომუნალური მეურნეობის უსათუოდ ერთ-ერთ შემოსავლიან წყაროს შეადგენს. ტეხნიკურად და ფინანსიურად უკეთეს პირობებში ჩაყენებული, იგი ერთი ორად აანაზღაურებს გაწეულ ხარჯებს, როგორც ეს მაგალითად ფუნიკულიორამდი ტრამვაის ხაზის გაყვანამ დაამტკიცა.

2) ფუნიკულიორი.

ფუნიკულიორამდი ტრამვაის ხაზის გაყვანამ სავსებით გაამართლა გაწეული ხარჯები. მისასვლელი გზის არსებობის გამო ფუნიკულიორის მუშაობა გაძლიერდა.

ივნისიდან სექტემბრამდი გადაყვანილია ფუნიკულიორით 77.932 მგზავრი.

ამავე ხნის განმავლობაში შემოსავალი უდრის 7520 მ. 11 კ. (1922 წ.—5,904 მ. 62 კ.).

ხარჯები—6292 მ. 56 კ. (აქედან ახალი ხაზის გაყვანა—3000 მ.).

როგორც ვხედავთ ფუნიკულიორამდი ახალი ხაზის გასაყვანათ გაწეული ხარჯები უკვე ანაზღაურებულია.

3) ელექტრონის სადგური.

აბონენტთა რიცხვი 1923 წლის ნოემბერში უდრიდა 6,117 კ. (1922 წ. 5,356).

1923 წლის განმავლობაში გაცემულია 2254,497 სანთლის ძალის ენერგია, 1922 წელს კი—2,418,721 სანთლის ძალის.

1923 წ. გაცემულია (კილოვატ საათებით) ელექტრონის ენერგია

1) ბინებზე (კერძო ბინებზე—219,356. საბჭ. მოსამსახ. და მუშებ-

მიიღება ხელისმოწერა „კომუნისტზე“ აპრილისთვის

მუშა-მოსამსახურეებს, წით.-არმიელებს და მოსწავლე ახალგაზრდობას

გაზეთი დამატებით („ჩირაღდანი“) გაეგზავნება აპრილში უფრო დაკლებულ ფასებში, ვინემ მარტში

ერთი თვით	ტფილისში	80 კაპ.
	პროვინციაში	90 კაპ.
ორი თვით	ტფილისში	1 მან. 55 კაპ.
	პროვინციაში	1 მან. 75 კაპ.
სამი თვით	ტფილისში	2 მან. 30 კაპ.
	პროვინციაში	2 მან. 60 კაპ.
ექვსი თვით	ტფილისში	4 მან. 55 კაპ
	პროვინციაში	5 მან. 15 კაპ.

ყველა დანარჩენებისათვისაც **გაზეთის („ჩირაღდან“-ით) ფასი მცირდება** თვიურათ ერთი აბაზით.

ტფილისში (მიტანით) ეღირება თვიურათ 1 მ. 30 კ.

პროვინციაში

1 თვით 1 მან. 80 კაპ.
2 „ 2 „ 60 „
3 „ 3 „ 90 „
4 თვით 5 მან. 20 კაპ.
5 „ 6 „ 50 „
6 „ 7 „ 50 „

პროვინციის ხელისმომწერლებმა უნდა შეიტანონ, გარდა ფასისა, გაზეთის გადასაგზავნი ხარჯების დასაფარავად, ოთხი შაური თვიურად.

„კომუნისტი“-ს ხელისმომწერლები **მიიღებენ აპრილში უფასოთ** პროლეტარიატის ბელადების საერთო სურათს (მარქსი, ენგელსი, ლენინი, ტროცკი, ბუხარინი, სტალინი-ჯუღაშვილი, კალინინი, ცხაკაია, მახარაძე და სხვ. სულ ხუთმეტამდე).

ამ დღეებში ჩვენ დაურიგებთ ხელისმომწერლებს **მარტის პრემიას**, საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს შემადგენლობის სურათს კარგ ქაღალდზე.

ბის ბინებზე—383,625. სამხედრო მოსამსახურეების ბინებზე—57,516) 660,495 (39,8 პროც.)

2) **არა სამეურნეო ორგანოებზე**—388.717 (სახელმწიფო დაწესებ.—195,017. ქალაქის არა სამ. ორგ.—67,228. სამხედრო—126,472) 23,5 პროც.

3) **სამეურნეო ორგანოებზე** 177,809 (სახელმწიფო სამეურნეო ორგანოებზე — 125,753, ქალაქის —29.608, სამხედრო—21,948), რაც შეადგენს 10,7 პროც.

4) კერძო დაწესებულებებზე—39 807—2,4 პროც.

5) **სავაჭრო სამრეწველო წარმოებებზე**—243 028, ე. ი. 14,7 პროც.

6) **ქალაქის განათება**—71.102, ე. ი. 0,4 პროც.

7) **ელექტრო-სადგურების საჭიროებისათვის**—116.889 ე. ი. 7,0 პროცენტი.

8) **ელექტრო-სადგურების სამმართველოს** მუშა-მოსამსახურეებისათვის—24.170, ე. ი. 1,5 პროც.

ამ რიგათ სულ გაცემულია 1923 წლის განმავლობაში 1.657.512 კ. ს. ენერგია.

შემოსავალი 1923 წლის თერთმეტი თვის განმავლობაში უდრიდა 223.139 მან. 68 კაპ.; ხარჯები—195.258 მანეთს 62 კაპ.

შემოსავალი წარსულ წელთან შედარებით გადიდებულია 85 პროცენტით.

შეძენილია ორი მამოძრავებელი—ერთი 150 და მეორე 120 ცხენის ძალის.

შეძენილია აგრეთვე მანქანების სხვადასხვა ნაწილები, ბოძები და სხვა.

ასეთია მშრალი ციფრები ელექტრონის სადგურების მუშაობის შესახებ.

როგორც ვხედავთ გაიზარდა აბონენტების რიცხვი, გაიზარდა ელექტრონის სადგურებიდან გაცემული ენერგიის რაოდენობა.

რომ ნათელი გახდეს, რომ ეს შედეგები სწორედ არაადამიანური მუშაობის შედეგია მოვიყვანოთ შემდეგი ნაწყვეტი 1922 წლის ანგარიშიდან ელექტრო-სადგურების შესახებ.

„59 მამოძრავებელში არ არის არც ერთი სრულიად ვარგისი: თითქმის ყველანი საჭიროებენ მეტად თუ ბევრად სასწრაფო და დიდ შეკეთებას“.

„1923 წლის დასაწყისს, რომ არ იქმნას წარმოებული სასწრაფო შეკეთება გაჩერებული მანქანებისა, **1923 წლის შემოდგომისას ქალაქი დარჩება უენერგიოთ**, რადგან იმ 30 გაჩერებულ მანქანებს მიემატება დანარჩენიც, რომელნიც ახლა დიდი გაჭირვებით მუშაობენ“.

და თუ ქალაქი ბნელმა არ მოიცვა მხოლოდ ელექტრო-სადგურების სამმართველოს და ელექტრო-სადგურების მუშაობის ენერგიული წყალობით.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ გმირული მუშაობის წყალობით ჩვენ გვექნება სინათლე იმ დრომდი, სანამ თბილისის დაძველებული ელექტრო-სადგურების მუშაობა აღარ იქნება საჭირო და არა მარტო თბილისი არამედ მისი მიდამოებიც შორ მანძილზე გაჩირაღდნებული იქნება ავჭალის ჰიდრო-ელექტრო სადგურის სინათლით.

საქართველოს გზატკეცილები

ა.|კავკასიაში და საქართველოში კერძოთ რკინის გზების ფართე ქსელის უქონლობის გამო, სახელმწიფო-სამეურნეო ცხოვრებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვთ გზატკეცილებს, რომელნიც თითქმის ერთად ერთ საშუალებას წარმოადგენენ ტრანსპორტისა და მიმოსვლისათვის.

გზატკეცილები, რომელთაც შეკეთება იმპერიალისტური და სამოქალაქო ომების დროს სავსებით არ ხდებოდა, გაფუჭდენ და მიმოსვლისათვის გამოუყენებელნი შეიქნენ.

საბჭოთა ხელისუფლებას დიდი ენერგიის, შრომის, სიმტკიცის გამოჩენა მართებდა, რომ შოსე გზების მცირე ნაწილი მაინც შეკეთებულიყო ისე, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მათი გამოყენება.

ყველა გზატკეცილების სახელმწიფო ხარჯთაღრიცხვაზე გადაყვანის შეუძლებლობის გამო, ცენტრის და ამ.-კავ. ფინ. სახ. კომ. ხარჯზე გადასულ გზებს შორის შევიდენ მხოლოდ შემდეგი გზატკეცილები: (სულ 1487 ვერსის სიგრძისა), ბორჯომ-ახალციხე-ახალქალაქი—სამზღვრამდე, ტფილისი—სათაი—ლენინაკანი (გუმბრი) სამხედრო ოსეთის (ქუთაისის—მამისონის უღელტეხილი), ახალ-ციხე—აბასთუმანი, ტფილისი—მანგლისი, ტფილისი—თელავი, ვორონცოვკა—კარაკლისი, ბათუმ—გოდერძის უღელტეხილი, აჭარისწყალი—საზღვარი, ბათომ—ქობულეთი და შავი ზღვის პირის გზატკეცილი (ახალ სენაკი—პილენკოვო).

ჩამოთვლილი გზატკეცილების სახელმწიფო ხარჯზე გადარიცხვა მოხდა უპირველესად ყოვლისა ეკონომიური მოსაზრებით. გარდა ამისა ა.|კ. სახ. კომ. საბჭოს 2 აპრილის დეკრეტით ა.|კ. გზატკეცილები ორ კატეგორიათ იყოფა. გზები, რომლებისათვის ხარჯებს კისრულობს ა.|კ. ფედერაცია, და გზატკეცილები, რომელთა პატრონობა ევალება ადგილობრივ აღმასკომებს. ამასთანავე საჭიროა მხედველობაში იქნეს მიღებული ის გარემოება, რომ ადგილობრივმა აღმასკომებმა უსახსრობის და გზის ტექნიკოსების უქონლობის გამო ვერ შესძლეს შეეკეთებინათ მათ უწყებაში მყოფი გზატკეცილები.

მთავარი ყურადღება მიექცა ბორჯომ-ახალციხე-აბასთუმნის გზას.

თანხების ნაკლებობის გამო, გზების შეკეთება მოხდა მხოლოდ ნაწილობრივად, სწარმოებდა მხოლოდ გზების გაწმენდა ზვავებისა და ჩამომეწყრული მიწიდან, ხდებოდა აგრეთვე გზების გაგანიერება, კიუვეტების გაწმენდა, შენდებოდა ახალი ხიდები და ბოგირები. ზემოჩამოთვლილ სამუშაოს შეუსრულებლად შეუძლებელი იყო გზატკეცილების გამოყენება. თანხების ნაკლებობის მიუხედავად, ზემოჩამოთვლილ გზატკეცილები ამჟამად ისეა შეკეთებული, რომ შესაძლებელია უხიფათო მოგზაურობა როგორც სამგზავრო, ისე ტვირთმზიდი ავტომობილებისათვის.

საქართველოს — სამხედრო გზა, რომელიც ა.|კ. სახ. კომ. საბ. მიერ დანიშნულ განსაკუთრებულ კომისიის უწყებაში იმყოფება, შეკეთებულ იქნა ნაწილობრივად. მდინარის ნაპირების გასამაგრებელი კაპიტალური მუშაობა თითქმის არ წარმოებულა, გზა მოკირწყლულია მხოლოდ 8,4 ვერსის მანძილზე, საუღელტეხილო ზონაში დაფარული გალერეიები არ არის აღდგენილი

ამჟამად საქ. სამხ. გზატკეცილზე სწარმოებს ყველა სისტემის მანქანების მიმოსვლა, მაგრამ ზაფხულში გარაჟების და გზის კიდეებზე ამოშენებული კედლების გაფუჭების გამო, ტვირთმზიდი ავტომანქანების მიმოსვლა სავსებით არ არის უზრუნველყოფილი.

„ომეს“-ის უწყების გარეშე დარჩენილი გზატკეცილები, განზრახულია ორ კატეგორიად დანაწილდეს: 1) რესპუბლიკანური და 2) ადგილობრივი (კომუნალური) მნიშვნელობის გზები.

ა.|კ. ყოფილი რესპუბლიკას აქვს გზატკეცილები, რომელთაც მთელი ა.|კ. ფედერაციისათვის მნიშვნელობა არ აქვთ, მაგრამ პოლიტიკური და ეკონომიური თვალსაზრისით მეტი მნიშვნელოვანი არიან ამა თუ იმ ცალკე რესპუბლიკისთვის. ასეთია მაგ. გზატკეცილები, რომელნიც აერთებენ სამაზრო ქალაქებს რ.|გზის სადგურებთან.

ასეთი გზების შესაკეთებლად განზრახულია ახლო მომავალში გადაიდგას სათანადო ნაბიჯები, ხოლო ადგილობრივ მნიშვნელობის გზების შენახვა კი დაეკისრება ადგილობრივ აღმასკომებს.

პროფკავშირებში

კავშირების კულტმუშაობა

პროფსაბჭოს კულტგანყოფილების უწყებაში ირიცხება წერა-კითხვის უცოდინარობის ალსაკვეთი 24 სკოლა, სადაც სწავლობს 520 კაცი.

პროფსაბჭოს კულტგანყოფილების უწყებაში მყოფ 25 პირველი საფეხურის სკოლა გასული წლის დეკემბრიდან გადაეცა განათლების სახ. კომისარიატის პოლიტ-განათლების განყოფილებას. ამ ჟამად პირველ საფეხურის სკოლაში სწავლობს სხვადასხვა კავშირის 600 წევრი.

კულტგანყოფილების სალექციო-საექსკურსიო ბიურომ გასული წლის დეკემბრიდან მოაწყო 160 ლექცია, რომელიც უმთავრესად იკითხებოდა წარმოებებსა და მუშათა კლუბებში. დიდი ხალისით ეკიდებოდენ მუშები სხვადასხვა ხასიათის გასამართლებას, რომელსაც აწყობდა პოლიტ-განყოფილება.

ლექციებს საშუალოდ ესწრებოდა 100-დან 150 კაცამდე, ხოლო სააგიტაციო ხასიათის გასამართლებას 600—700 კაცამდე.

კარგათ აქვთ დაყენებული კულტ-მუშაობის საქმე საბჭოთა მუშაკების, გემო-კვების, მელითონეთა და კომუნალურ მეურნეობის კავშირებს.

კულტმუშაობა მეტად ჩამორჩენილია ხელოვნების, მბეჭდავთა, სახალხო კავშირის, მშენებელთა, ხეზე მომუშავეთა და სახალხო გამოკვების მუშაკთა კავშირებში.

მუშაობა საშუალოდ არის დაყენებული ქიმიკოსთა, ტვირთმზიდავთა, მკერავთა და მიწა-ტყის მუშაკთა კავშირებში.

საქ. პროფსაბჭოში.

ხელფასის მოსაწესრიგებლად.

სახელმწიფო მომარაგებაზე დატოვებულ ზოგიერთ დაწესებულებათა ადმინისტრაცია გაურბოდა კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადებას, რასაც იმით ასაბუთებდა, თითქოს მაღალ სახელმწიფო ორგანოებიდან აკრძალული ჰქონოდეთ ხელშეკრულებათა დადება. ამ მიზეზით მთელ რიგ მუშაკთა შრომის უფლებრივი პირობების გამორკვევა შეუძლებელი ხდებოდა. უმაღლესი პროფესიონალური ორგანოების ყოველივე ღონისძიებას ხმარობდენ ამ უწესრიგობის ალსაკვეთად, რასაც შედეგად მოჰყვა ა|კ. საბჭ. სოც. რესპ. უმაღლ. ეკონ. საბჭოს განმარტება, რომლის თანახმად უფლება ეძლევათ ცალკე უწყებებსა და დაწესებულებებს დასდონ კოლექტიური ხელშეკრულებანი მათდამი ხელფასის საჭიროებისათვის გადაცემულ ფონდების ფარგლებში.

საქ. პროფსაბჭო, აუწყებს რა ამის შესახებ, კავშირთა ცენტრალურ გამგეობებს, წინადადებას აძლევს კოლექტიურ ხელშეკრულების დადების დროს, რაც შეიძლება დაცულ იქნეს შრომის უფლებრივი პირობები.

განაკვეთის გამომუშავების დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ხარჯთაღრიცხვის მიხედვით დადგენილი ხელფასის ფონდის რაოდენობა.

უკანასკნელ გარემოებას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება, ვინაიდან ზოგიერთ დაწესებულებათაგან ხელფასის ფონდის გამოყენება ხდება სხვა საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

საცხოვრებელ ბინის ნორმა

საქ. პროფსაბჭოს სამდივნოს კოლეგიის სხდომაზე მოსმენილ იქნა უძრავ ქონებათა სამმართველოს პროექტი საცხოვრებელ ბინის ნორმის შესახებ. თ. ქ. ს. მიერ წამოყენებული 16 კვადრატულ არშინის ნაცვლად პროფსაბჭოსაგან საცხოვრებელ ბინის ნორმად მიღებულია 20 კვადრ. არშ. სულზე.

პასუხისმგებელ მუშაკებს უფლება ეძლევათ კაბინეტისთვის 30 კვ. არშინი. კერძო პირები, რომელთაც ნორმაზე მეტი ბინა უჭირავთ, იხდიან ზედმეტისათვის ორმაგ ქირას.

წითელ ჯარში

წითელ მესანგრეებში

წითელ არმიელთა დამუშათა კავშირი, რაც დრო გადის, უფრო და უფრო მტკიცდება. ეს ორი ძმათ ნაფიცნი მუშა და წითელარმიელი ერთად გამოდიან, როგორც პოლიტიკურ, ისე კულტურულ ფრონტზე.

ცალკე მესანგრე ასეულს და ექსპედიციის მუშებს გამოსვლები მუდამ ერთად აქვთ, მით უმეტეს კულტ-ფრონტზე. 26 მარტს—კი გაიბა კავშირი მთავარ სახელოსნოს მუშებთანაც.

აღნიშნულ დღეს ეწვიენ ჩვენს წითელარმიელებს მთ. სახ. მუშებისაგან შემდგარი დრამ. დასი ამხ. ამხ. ლევან აზრუმელაშვილის, კუდუხაშვილის, გოგაშვილის, თოთაძის, პაპელაშვილის, ჩიტაძის და სხვათა მონაწილეობით და სხ. ჩარკვიანის რეჟისორობით წარმოადგინეს კლუბ „წითელ მესანგრეში“ 1. „ქრისტინე“ და 2. „სიმართლე“. ვოდ. 1 მოქ.

წარმოდგენას დაესწრენ, როგორც ცალკე მესანგრე ასეულის და ცალკე საკავშირო ასეულის წითელი არმიელები, ისე მრავალი მუშა მოსამსახურენიც. წარმოდგენა მუშა მსახიობებმა კარგად ჩაატარეს, რომლითაც ყველა კმაყოფილი დარჩა.

წარმოდგენის გათავების შემდეგ ყველა მსახიობი და რამდენიმე წითელარმიელნი გამოვიდენ სცენაზე, სადაც მისცეს ერთი-მეორეს ფიცი ძმობისა და მესანგრეთა სახელით მადლობა გადაუხადეს, როგორც მთავარ სახელოსნოს მუშებს, ისე კერძოდ მსახიობთ, ამხ. ლითანიშვილმა და ამხ. ჭელიძემ.

საპასუხო სიტყვა სთქვა ამხ. აზრუმელაშვილმა და დაჰპირდა, რომ მუშები მუდამ და ყოველთვის წითელარმიელებთან იქნებიან, ხელი-ხელ ჩაკიდებულნი და ყოველთვის მზად იქნებიან დახმარებისათვის.

საღამო გათავდა ღამის 12 საათ. ს.

მედგუნი.

საბჭოთა დაწესებულებების გამორკვევა

სრულიად საქ. ცენტრ. აღმასკომის დადგენილებით, ამა წ. 1 აპრილიდან, საქ. ცენ. სტ. სამ. ახდენს საბჭოთა დაწესებულებების გამორკვევას—დაწესებულებების კონსტიტუციისა და მათში მოსამსახურე პირთა ღირსობრივი მდგომარეობის გამორკვევის მიზნით. შრომის სტატისტიკის განყოფილებამ უკვე დაიწყო საორგანიზაციო მუშაობა გამორკვევის ჩასატარებლად რესპუბლიკის საზღვრებში. წინასწარი მასალები და აგრეთვე ანკეტის ფორმულიარები უკვე დაეგზავნა ადგილობრივ ორგანოებს, მაზრის ქალაქის და ავტ. რესპუბლ. სტატბიუროებს, რომელთაც ევალებათ ფაქტიურათ გამორკვევის ადგილობრივ ჩატარება.

ამასთან ერთად ც. ს. ს. შრომის სტატისტიკის განყოფილება, ქალაქის სტატბიუროს ახლო მონაწილეობით და ც. ს. ს. საერთო ხელმძღვანელობით, უკვე შეუდგა პასუხისმგებელ პირთა მომზადებას, რომელნიც გამოარკვევენ ქ. თბილისის საბჭოთა დაწესებულებების მდგომარეობას ზემოხსენებულ მიზნით.

მეცნიერება
ტექნიკა

გაზეთის საქმე ამერიკაში.

1923 წელს ამერიკაში გამოდიოდა 2350 გაზეთი ეს ორიათას სამას ორმოცდაათი გაზეთი იბეჭდებოდა 31 მილიონი ცალი, ე. ი. დაახლოვებით ერთი ნომერი ამერიკის თითეულ ორ მოქალაქეზე.

გაზეთებს გარდა ამერიკაში გამოდის 17.000 ჟურნალი.

ამ გაზეთების და ჟურნალების სამსახურშია დაახლოვებით 250.000 კაცი, მანქანების ენერგია, რომლითაც სარგებლობენ ეს ჟურნალ-გაზეთები, უდრის 300 ათას ცხენის ძალას.

ამერიკის დიდ გაზეთებს აქვთ მანქანები, რომლებიც საათში ბეჭდავენ, ჰკეცენ და ჰკრავენ 72.000 ცალ 24 გვერდიან გაზეთს. ამავე დროს მანქანა განსაკუთრებულ საანგარიშოზე აღნიშნავს დაბეჭდილი გაზეთის რაოდენობას.

ასეთ მდგომარეობაშია ახლა გაზეთის საქმე იმ ქვეყანაში, რომლის ტეხნიკა ყველაზე უფრო არის განვითარებული.

ინტერესს მოკლებული არ იქნება გავიხსენოთ მოკლეთ გაზეთის საქმის ისტორია.

ბეჭდვა ამოჭრილი ხეების საშუალებით იცოდენ ჩინელებმა უკვე ისტორიული ეპოქის დასაწყისში. ქაღალდს ისინი ამზადებდენ ხის კანიდან.

არაბებმა მეათე საუკუნეში დაიწყეს ქაღალდის დამზადება ბამბიდან. 12 საუკუნეში ინგლისში უკვე ისწავლეს ხატვა მატერიაზე.

მეთოთხმეტე საუკუნეში დაიწყეს სათამაშო კარტების დამზადება ხიდან. მეთუთხმეტე საუკუნეში უკვე დაამზადეს საბეჭდავი მასალა, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს თანამედროვე ქაღალდის წინაპრათ. ჰოლანდიელმა კოსტერმა გამოიგონა თანამედროვე ბეჭდვის სისტემა მოძრავი ასოებით ჯერ ხიდან, შემდეგ ტყვიიდან. 1455 წელს გუტენბერგმა გამოიგონა საბეჭდავი მანქანა.

პირველი ევროპიული გაზეთი იყო „დაწერილი ცნობები“, რომელიც გამოსცა ვენეციის (იტალიაში) მთავრობამ 1566 წ. მისი წაკითხვისათვის იღებდენ წვრილ ფულს, რომელსაც ეწოდებოდა „გაზეთი“. ამ ფულის სახელწოდებიდან წარმოიშვა სიტყვა გაზეთი.

ინგლისში პირველი გაზეთი იყო „ლონდონის ყოველკვირეული ცნობები“, რომელიც 1622 წელს გამოვიდა.

საფრანგეთში პირველი გაზეთი გამოვიდა 1631 წელს.

ამერიკაში პირველი გაზეთი გამოვიდა 1690 წელს.

რუსეთში პირველი გაზეთი „Ведомости о военных и иных делах“, რომლის რედაქტორი იყო პეტრე დიდი, გამოვიდა 1703 წელს. ხელის საბეჭდავ მანქანაზე იბეჭდებოდა დღეში ორასი ცალი 2 გვერდიან, დიდი-დიდი 4 გვერდიანი გაზეთი.

1814 წელს დაამზადეს პირველი ორთქლით მომუშავე საბეჭდი მანქანა.

1847 წელს პირველათ ამერიკაში გამოიყენეს ელექტრონი საბეჭდავი მანქანის ასამუშავებლათ.

ქრონიკა

— **ელექტრონის სადგური ოზურგეთში.** ოზურგეთის მაზრის აღმასკომმა დაადგინა ქ. ოზურგეთში აგოს ახალი 100 ძალიანი ელექტრონის სადგური.

— **ამნისტია ქალთა დღის აღსანიშნავად.** საკავშირო და ა.-კ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის დადგენილების თანახმად ქალთა დღის (8 მარტი) აღსანიშნავად გამოცემულ ამნისტიის სისწორით გასატარებლად, საპატიმრო სამმართველო შეუდგა პატიმარ ქალთა ვადამდე განთავისუფლების საჭირო ცნობების შეკრებას.

— **რადიო სადგური ქ. სენაკში.** ა.-კ. ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატის და სენაკის მაზრის აღმასკომის შორის სწარმოებს მოლაპარაკება ქ. სენაკში რადიო-სადგურის ასაგებად.

— **საკონსერვო ქარხანა.** ახლო ხანში ქ. ოზურგეთში მოეწყობა საკონსერვო ქარხანა.

— **ცეკავშირის საბჭოს სესია.** 5 აპრილს თბილისში მოწვეულია ცეკავშირის საბჭოს სესია.

— **მუშაობის ნაყოფიერება ა. კ. რკინისგზებზე.** გზათა ნაწილის შრომის ნაყოფიერება იანვრის განმავლობაში უდრის—100 პროც. მოძრაობის ნაწილის—130 პროც. და საკავშირო ნაწილის 108,5 პროც.

— **ახალგაზრდა მუშების მიღება დაწესებულებებში.** შრ. ინსპექცია ახალგაზრდა კომკავშირთან ერთად ამჟამად იმუშავებს წესებს ახალგაზრდა მუშათა დაწესებულება-წარმოებებში სამუშაოზე მიღების შესახებ.

— **შრომის დაცვა.** შრ. დაცვის განყოფილებამ გასულ 1923 წლის განმავლობაში დაათვალიერა: შრომის ინსპექტორებმა—1995 დაწესებულება, სანიტინსპექტორებმა—912 და ტეხნიკურ ინსპექტორებმა—1524 დაწესებულება.

— **დამზღვევ კასის ახალი ფუნქტი.** დამზღვევ კასამ დაადგინა: გახსნას ახალი რაიონული დამზღვევი პუნქტები ვერის რაიონში ამხ. ლენინის სახელობის თამბაქოს ქარხანასთან.

— **დამზღვევ კასისადმი დავალიანება.** დამზღვევ კასამ დაადგინა მიიღოს გადაჭრილი ზომები დამზღვევ კასისადმი დავალიანების მოსასპობად.

— **თამბაქოს შეძენა.** ა.-კ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა გადასწყვიტა: აფხაზეთში შეიძინოს 70 000 ფ. თამბაქო.

— **გლეხთა კვირეული.** ქ. აღმასკომმა წინადადება მისცა პოლიტ-განათლების და საადგილმამულო განყოფილებას მიიღონ აქტიური მონაწილეობა გლეხთა დამხმარე კვირეულის თბილისის და მის მაზრაში ჩასატარებლათ.

— **ეპიდემიური ავადმყოფობასთან საბრძოლველად.** ქ. აღმასკომმა ეპიდემიურ ავადმყოფობის გაჩენის საშიშროების გამო, დაადგინა შესდგეს სანიტარული კომისია ამხ. ამხ. გეჩეჭკორის (თავმჯ.) მამულიას და ხმალაძის შემადგენლობით.

— **ქალაქის ლომბარდის გახსნა.** ქ. აღმასკომმა დაადგინა გახსნას ქალაქის ლომბარდი, საკუთრივ პაისჩიკების გარეშე. აღმასკომმა ლომბარდის ძირითადი თანხა გადასდო 60 ათასი მან. ჩერვ. რაოდენობით.

— **საკურორტო სექცია.** ქ აღმასკომმა ჯანმრთელობის განყოფილებასთან დაარსა საკურორტო სექცია, რომელსაც დაევალა თბილისის მაზრაში მდებარე საკურორტო ადგილების გაერთიანება.

— **უფასო საექიმო დახმარება მცხოვრებლებს.** ქ. აღმასკომმა დაამტკიცა პროექტი, რომლის მიხედვით ჯანმრთელობის განყოფილებამ თბილისის და მისი მაზრის ღარიბებს მცხოვრებლებს უნდა გაუწიოს უფასოთ საექიმო დახმარება.

— **ჯიშიანი თესლეულობა.** მიწად. მოქ. კომისარიატმა შირაქიდან მიიღო ჯიშიანი ხეების თესლეულობა. თესლების გარჩევა-შესწავლა მიენდო პროფ. ქურდიანს.

— **თელეთის მთებზე ტყეების გაშენება.** მიწად-მოქ. კომისარიატის სატყეო განყოფილება უკვე შეუდგა თელეთის სამხრეთის მთებზე ტყეების გაშენებას.

— **დახმარება ინვალიდებს.** რაჭის მაზრის აღმასკომმა, მაზრის—შრომის და ომის ინვალიდთა და ღარიბ ქვრივ ობლების დასახმარებლად გადასდო 500 მან. ჩერ.

— **ელდარის ფიჭვის გაშენება.** ორთაჭალაში სამთო საკულტურო სატყეო განყოფილება ამ ჟამად ორთაჭალაში სთესავს ელდარის ფიჭვს ტყის კულტურული გაშენების მიზნით.

— **გლეხკომები რაჭის მაზრაში.** რაჭის მაზრაში დღემდე არჩეულია სულ 55 სასოფლო და 6 რაიონული საგლეხო კომიტეტი.

კრებები.

— **სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაში.** კვირას, 30 მარტს, დილის 11 საათზე სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების მორიგ კრებაზე (ბარიათინის ქუჩა № 5) ამერიკიდან ჩამოსული ამხ. ნიკოლოზ აბაშიძე წაიკითხავს მოხსენებას „მეხაქონლეობა ამერიკაში“. დასწრება თავისუფალია.

— **უმუშევართა სოციალური დაზღვევა.** სოც. დაზღვევის სამმართველო იმუშავებს ახალ გეგმას სოციალურ დაზღვევის შესახებ.

— **შრომის ბირჟა.** 27 მარტს შრ. ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა 92 უმუშ. ახლად ჩაეწერა—46 მოთხოვნილება იყო—72, სამუშაოზე გაიგზავნა—68.

შემთხვევები.

— **თავის დახრჩობა.** 26 მარტს დღის პირველ საათზე კარლ მარქსის ხიდიდან მტკვარში გადავარდა მოქ. ტიმოფეი პავლესძე ტუროვსკი მცხოვრები ახალ ბებუთოვის ქ. № 9. გვამი ჯერ-ჯერობით ვერ იპოვეს.

— **ქურდობა.** 26 მარტს დღის 8 საათზე მოქ. ალექსანდრე ყიფიანის სახლის (ალექსანდროვის ქ. № 10) შუშაბანდიდან მოპარული იქნა 100 ჩერ. მ. გასაშრობათ გადაფენილი თეთრეული.

ხელოვნება

სახელმწიფო ოპერა

ლ. სობინოვის გასტროლები: „ევგენი ონეგინი“

ლეონიდ ვიტალის ძე სობინოვი—ერთიერთი უდიდესი თანამედროვე მომღერალია და ამიტომ გასაგებია ფართო მასების მისწრაფება მოუსმინონ სობინოვს.

ოპერაში „დიდი თეატრალური დღეებია“. საგასტროლო სისტემაში დარბაზის მთელ ყურადღებას იპყრობს გასტრალიორი, მაგრამ საქმის სერიოზულად დაყენების პირობებში ყურადღების ცენტრათ ხდება მაინც ანსამბლი, გასტრალიორი კი—ავსებს, ალამაზებს ამ ანსამბლს. ამ სასიხარულო მოვლენას ადგილი აქვს ჩვენს ოპერაშიც.

რასაკვირველია, მრავალრიცხოვან აუდიტორიის მთელი ყურადღება მიპყრობილი იყო გასტრალიორისაკენ. დროის თავისი დაღი დაუჩნია გასტრალიორისათვის.

არ შევეცდებით სავსებით მხატვრულად ვიცნოთ შესავალი ფრაზის და შემდეგ პირველი არიის „რა ბედნიერი ვარ“ და „მე თქვენ მიყვარხართ ოლგა“ შესრულება. სამაგიეროდ სავსებით მხატვრული იყო ჩხუბის და პოპულიარული არიის „Куда Вы удалились“ შესრულება.

ჩხუბის სცენაში მსახიობი იძლევა განწყობილების მთელ გამმას; აქ მთელი სიცოცხლეა. არია კი შესრულებული იყო განსაკუთრებული განწყობილებით და ემოციალობით. აქ ხმის იგივე წინანდელი მომხიბლავი ტემბრია, მსახიობი წინანდებურათ ხმარობს თავის ხმას. იგივე მუსიკალობა, მხატვრული დინამიკა და იგივე მოფიქრებული ფრაზიროვკა—აი რითი ხიბლავს აუდიტორიას მომღერალი, აი რაშია მისი განსაკუთრებული სახელის საიდუმლოება.

მომღერალს აუდიტორიასთან ერთად ოვაციებით შეხვდენ ოპერის მსახიობები, გუნდი და ორკესტრი. მესამე მოქმედების არიის „Куда Вы удалились“ შესრულებით სობინოვმა სავსებით დაიპყრო აუდიტორია. მშვენივრათ იყო შესრულებული აგრეთვე „კანონი“ (დუეტი ონეგინთან)

დანარჩენი შემსრულებლები ძველებია.

პ. ბეზუთოვი.

მფრინავი (ლეტუჩი) ლიტერატურული გამოსვლა.

დღეს, შაბათს 12 საათზე რკინისგზის სტამბაში პროლეტარულ მწერალთა კავშირი აწყობს პირველ მფრინავ (ლეტუჩი) ლიტერატურულ გამოსვლას.

კავშირის დისციპლინის წესით მონაწილეობის მიღება ევალებათ შემდეგ ამხანაგებს: გედევანიშვილს, იულს, ზომლეთელს, ვაკელს, ლისაშვილს, სამსონიძეს, ხეჩუაშვილს, შინატიხელს, ნავთლუღელს, ინასარიძეს, ხიდისთაველს, დუმბეკოს, კრაიტანს, იურინს, გრის, აკოპ აკოპიანს, აიკუნის და დარპინიანს.

— **მუშა-მსახიობის ნიკო გოცირიძის ბიუსტი.** მ. ქიაურელი აკეთებს ნიკო გოცირიძის ბიუსტს იუბილეს დღისთვის.

— **სობინოვი ნიკო გოცირიძის იუბილეზე.** საიუბილეო კომიტეტმა მიიწვია ცნობილი მომღერალი სობინოვი ნიკო გოცირიძის იუბილეზე, რის გამო სობინოვის გასტროლი „ლოენგრინი“, რომელიც დანიშნული იყო 30 მარტისათვის გადაიდო.

— **ნიკო გოცირიძე როლებში.** დაიბეჭდა და გასაყიდათ გამოვიდა „ნ. გოცირიძე სხვა და სხვა როლებში“.

— **მონოგრაფია ნიკო გოცირიძეზე.** ი. გრიშაშვილმა ნიკო გოცირიძეზე დასწერა მონოგრაფია, რომელიც გამოვა ცალკე წიგნათ გოცირიძის იუბილეს დღეს 30 მარტს. გამოცემა სახელგამის.

— **ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოთ.** ქალაქის აღმასკომმა გაანთავისუფლა საპროცენტო გადასახადისაგან ლუნაჩარსკის სახელობის დრამატიული წრის და მე-16 ტეხნიკუმის მოწაფეთა მიერ 9 მარტს ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოთ გამართული საღამო.

— **გ. წერეთლის ნაწერები.** სახელგამი შეუდგა გ. წერეთლის ნაწერების გამოცემას. ნაწერები გამოვა რამდენიმე ტომად.

— **ოპერა მუშებისათვის.** სამშაბათს, 1 აპრილს პლეხანოვის თეატრში ოპერის მსახიობთა მიერ წარმოდგენილი იქნება „აიდა“ მუშებისათვის.

— **ხალხური ხელოვნების ნიმუშების გამოცემა.** სახელმწიფო გამოცემლობა შეუდგა ხალხური ხელოვნების ნიმუშების გამოცემას. შემდგარია განსაკუთრებული სარედაქციო კომისია, რომელშიაც არჩეულნი არიან: რაჟდენ კალაძე (თავმჯდომარე), იროდ სონღულაშვილი და ს. აბაშელი. კომისია სთხოვს ყველას, ვისაც აქვს დაგროვილი ხალხური ანდაზები, იგავ არაკები, ზღაპრები, შაირები და სხვა, გამოგზავნონ მასალა კომისიის თავმჯდომარის რაჟდენ კალაძის სახელზე საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობაში, ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქ. № 5.

— **ლექციები ესთეტიკაზე.** ახლო ხანში ხელოვანთა სასახლეში (მაჩაბლის ქ. № 13) კონსტანტინე გამსახურდია წაიკითხავს ლექციებს ესთეტიკაზე. პირველი ლექცია წაკითხული იქნება თემაზე: „თანამედროვე ესთეტიკის პრობლემები“.

დღეს თეატრებში.

— **ოპერა.** პროფკავშირის წევრებისათვის „ტოსკა“.

— **დრამა.** პროფკავშირის წევრებისათვის „გმირი“.

— **სახ. სახლი.** რუსული წარმოდგენა.

პროვინციელ კორესპონდენტების

რეგისტრაცია

რედაქცია აცხადებს თავის პროვინციელ კორესპონდენტების რეგისტრაციას.

ყველა ადგილობრივი პარტიული, პროფესიული და სხვა სათანადო ორგანიზაციები, რომელთაც ჰყავთ არჩეული კორესპონდენტები (თუ არა ჰყავთ, უნდა აირჩიონ), აგრეთვე ცალკე პირები, რომელნიც გვიგზავნიდენ კორესპონდენციებს და აქვთ სურვილი შემდეგშიც მოგვაწოდონ ასეთები,—**ვალდებული არიან** დაჩქარებით გამოგვიგზავნონ შემდეგი ცნობები:

1. კორესპონდენტის ვინაობა (გვარი, სახელი, მამის სახელი).
2. „ სოციალური მდგომარეობა (გლეხი, მუშა, ინტელიგენტი და სხვ.)
3. „ პარტიულობა (წინანდელი, ეხლანდელი, პარტიული სტაჟი).
4. „ განათლება (შინაური, დაბალი, საშუალო, მაღალი).
5. „ პროფესია, თანამდებობა და სამსახურის ადგილი.
6. „ წლოვანება.
7. „ მისამართი.

რეგისტრაცია გაგრძელდება დღიდან ამის გამოცხადების **პირველ მაისამდე**

ადგილობრივ ორგანიზაციებს და ამხანაგებს მოუწოდებთ მოეკიდონ ამ საქმეს საჭირო სიფრთხილით და სერიოზულობით.

პროვინციაში

კულტურული მუშაობა თიანეთის რაიონში

თიანეთის რაიონში არის ოთხი პოლიტწრე, თითო წრეში მეცადინეობენ ყოველ კვირაში ერთხელ არა ნაკლები 20—25 კაცამდე. ამ პოლიტწრეებში ღებულობენ მონაწილეობას პარტამხანაგები, ახკომკავშირის და ქალთა წრის წევრები უპარტიოები, უპარტიო გლეხები. არის ერთი სამკითხველო ამხ. სერგო ორჯონიკის სახელობაზე და ორიც ქოხსამკითხველო, სადაც, როგორც პოლიტიკური, ისე სხვა წიგნებიც საკმაოთ არის, რომლებითაც სარგებლობენ მსურველები. თიანეთის სამკითხველოს მოსდის გაზ. „წითელი ჯარი“. პოლიტგანათლების განყოფილებას არ აქვს იმდენი თანხა, რომ სამკითხველოებს გაზეთები გამოუწეროს. ადგილობრივი აღმასკომი ამის საშუალებას ვერ აძლევს, იგი ეხმარება მხოლოდ ბინით და შეშით. იმედია, რომ ამხ. სერგო ორჯონიკიძე მიაქცევს ყურადღებას თავის სახელობის სამკითხველოს „მიწის მუშის“ და „კომუნისტის“ მოწოდებით, რითაც კულტურულად ჩამორჩენილ გლეხობას მიეცემა საშუალება გათვითცნობიერების. „წითელ ჯარის“ რედაქციას კი ვსთხოვთ თუ ორი ცალი არა, ერთი მაინც კიდე მოგვაწოდოს თიანეთის არტნის სამკითხველოსათვის, სადაც სცხოვრობენ სულ ფშავლები და წითელჯარის მოქმედებას და ამბებსაც იმ მიყრუებულ ადგილსაც გაიგებენ, როგორიც არის არტანის ხეობა. თიანეთში არის საზაფხულო თეატრი ამხ. მიხ. ცხაკაიას სახელობაზე. დიდი და კარგი შენობაა. მხოლოდ მოწყობილობით ძლიერ ღარიბია და ესაჭიროება მას დახმარება, ერთი წლიწადია მას შემდეგ, რაც თიანეთის ახკომკავშირს აქვს თავისი კლუბი (ყოფილი ეკლესია), სადაც იმართება კრებები, კონფერენციები, საუბრები, წარმოდგენები და სხვა. აგრეთვე თიანეთში არის საბავშვო სახლი 1923 წ. 8 მარტში დაარსებული როზა ლიუქსენბურგის სახელობაზე, სადაც იმყოფება 26 უპატრონო ბავშვები. ეს ბავშვები განიცდიან მატერიალური მხრივ გაჭირვებას. ამ მოკლე ხანში ს. არტანში ფშავლებში დაარსდა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლა, რასაც გლეხობა დიდი აღტაცებით შეხვდა.

თიანეთელი დათა.

აბრეშუმის პარკის და თამბაქოს კულტურა ჩოხატაურის რაიონში

ჩოხატაურის რაიონი, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, აღმოსავლეთი გურია 14 თემისაგან შესდგება.

მცხოვრებლების დიდი უმრავლესობა გლეხ-კაცობაა, რომლებიც მისდევენ მიწის მუშაობას, მაგრამ რაკი აქ მიწის სივიწროვეა და რაც არის, იმის დიდი პროცენტიც უვარგისია, ადგილობრივი გლეხები იძულებულნი არიან იარონ საყანე ადგილებისთვის ლანჩხუთისა და გულეკარის რაიონებში, მდინარე რიონის ხეობაში.

ზემოხსენებულ თემებში მცხოვრებლების ერთ მთავარ შემოსავალს შეადგენდა აბრეშუმის პარკის და თამბაქოს მოყვანა, მაგრამ იმპერიალისტური ომის მიზეზით, როგორც სხვა მრავალი ეკონომიური და კულტურული დარგები, ესენიც შეფერხდა და მათი ბაზარიც სავსებით დაეცა. თუ სოფლის გლეხი [illegible] აქ მოიყვანდა პარკს ან თამბაქოს, ამისი გასაღება მას ჩალის ფასათ უხდებოდა, რის გამო იძულებული გახდნენ თითქმის სავსებით მიენებებიათ თავი ამ შემოსავლიანი სამეურნეო დარგებისათვის.

დამყარდა თუ არა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება, ის საჩქაროთ შეუდგა დანგრეული მეურნეობის აღდგენას სოფლათ. კერძოდ ისევ შეუდგენ აბრეშუმის პარკის მოყვანას, პარკზე ფასი თანდათან მატულობს. მაგრამ სრულიათ უყურადღებოთაა დარჩენილი თამბაქოს მოშენება. აღმოსავლეთ გურიაში წლიურათ მოყავდათ 12,000 ფუთზე მეტი თამბაქო, რომლის შემოსავლით დიდძალი გლეხი კმაყოფილდებოდა მთელი თავიანთი ოჯახობით. მაგრამ, როგორც ზევით ვთქვათ, თამბაქოს ფასების დაცემის გამო შეჩერებულ იქნა მისი მოყვანა. დღეს თამბაქოს ფასი და მოთხოვნილებაც მატულობს და ამ პირობებში მისი მოყვანა სა-

მუშათა ცხოვრება

დამზღვევი კასა ვერ ასრულებს თავის მოვალეობას.

(თბილ. ცენტ. დამზღ. კასის საყურადღებოდ).

იმ დროს, როდესაც ყოველ ნაბიჯის გადადგმაზე თვით მთავრობა ცდილობს, რომ მუშათა მდგომარეობა შესამჩნევად გააუმჯობესოს, დამზღვევი კასების და სხვა შესაბამის დაწესებულების საშუალებით, იმავე დროს თვით დამზღვევი კასა თითქოს განგებ, ცდილობს, რომ უფრო მეტი უსიამოვნება მიაყენოს იმ ავადმყოფ მუშებს, რომელნიც ამავე კასიდან ღებულობენ ფულს. მე არ ვეხები ცენტრალურ დამზღვევ კასას, არამედ იმ განყოფილებას, რომელიც მოთავსებულია ტრამვაის სადგურთან. აქ ფულის მიღება იმდენად გაძნელებულია გამოუცდელ მოხელეების მოწყალეობით, რომ მორჩენილი ავადმყოფი თითქმის სიბრაზისაგან ისევ სნეულდება. მეც ერთმა ავადმყოფთაგანმა მიუტანე მათ ბიულეტენი. მათ მითხრეს: ხვალ მოდი და მიიღებო! მივედი მეორე დღეს და კიდევ მითხრეს: ხვალ მოდით. რადგანაც ანგარიში არ არის გასწორებულიო. მივედი მესამე დღეს და დილის 10 საათიდან უცადე ნაშუადღევის ორამდის და მაინც ვერ ვეღირსე ფულის მიღებას. მომთხოვეს დამზღვევ კასის წიგნაკი სურათებით, რაც არა დროს არ ყოფილა თვით ცენტრშიაც კი. აქ ჩემს გარდა იყვნენ მუშა ქალებიც, რომელნიც ბავშვებით ხელში 5 და მეტი დღეები დადიან და მაინც არ აძლევენ მათ სხვადასხვა სრულიად უმნიშვნელო მიზეზებისა გამო და როცა ისინი მოთმინებიდან გამოსულნი ხმას ამოიღებენ, არც ეს ესიამოვნებათ აქაურ მოხელეებს. ასეთი მოპყრობა მუშების მიმართ დასაშვები არ არის. საჭიროა, ვისგანაც ჯერ არს შესაფერი ყურადღება მიაქციონ ამ გარემოებას და სასურველ დონეზე დააყენონ იგი, რადგანაც ჩვენ, მუშებმა, ყოველ წასვლაზე ნებართვა უნდა გამოვითხოვოთ ქარხნის ადმინისტრაციისაგან. ყოველ დღე ორი საათით მოცდენა საქმიდან შესაფერ ზარალსაც აძლევს წარმოებას.

მუშკორი ალ. ბ—შვილი.

ეს დეფექტიც უნდა გამოსწორდეს.

(თამბაქოს ტრესტის საყურადღებოდ)

„ამხ. ლენინის სახელობის“ თამბაქოს ფაბრიკაში ამ უკანასკნელად მუშების სასარგებლოდ შეიქმნა შემდეგი მდგომარეობა. ფაბრიკასთან დაარსდა მუშკოოპის ერთი განყოფილება, რომელიც ფაბრიკის მუშებს მუშკოოპის ფასებში აწვდის ნისიად სურსათ-სანოვაგეს. ჯამაგირების მიღებისთანავე მუშები ისტუმრებენ ნისიას. ეს ზომა, უნდა ვსთქვათ, საგრძნობ დახმარებას წარმოადგენს აქაურ მუშებისათვის. ამიტომ ფაბკომი და საერთოდ ვისი ინიციატორობითაც ეს საქმე მოეწყო ღირსია დაფასების და მადლობისა.

მხოლოდ იმავე მუშების საზიანოდ აქ ალაგი აქვს ერთ პატარა დეფექტს და იგიც უნდა გამოსწორდეს აქაურ მუშების მიერ ასეთი კოლექტიური ხელშეკრულება არის დადებული ადმინისტრაციასთან: თანახმად ამ ხელშეკრულებისა, ჯამაგირები მუშებს ნამდვილად დანიშნულ დღეზე ურიგდებათ. ასე წესიერად მსგავს წარმოებებში იშვიათად რიგდებოდა ხელფასი. მაგრამ ჯამაგირების დარიგება ხდებოდა დღის ბოლოს. გვიან მიღებულ ფულს კი მუშები იმავე დღეს გზას ვერ უჩვენებენ და მეორე დღისთვის კი ეს ფული აღარ უთანასწორდება ხელფასის რეალურ მნიშვნელობას. ამიტომ, როგორც ამას დადებული კოლექტ. ხელშეკრულება ჰგულისხმობს, როგორმე უნდა მოეწყოს შესაძლებლობა ხელფასის არა საღამოს, არამედ საღამომდე დარიგებისათვის. მაშინ კიდევ უფრო გაუმჯობესებულ იქნება აქაური მუშათა მატერიალური მხარეც.

მუშკორი მ. ა.

ადგილკომის გადარჩევა.

მარტის 22-ს 1 ნახ. საათზე ამხ. ლენინის სახელობის მუშათა კლუბში შესდგა საერთო კრება ტყავტრესტის მუშა-მოსამსახურეთა. კრება გახსნა ადგილკომის პასუხისმგებელ მდივანმა ს. ტრდატიანმა.

თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ამხ. მორჩილაძე და მდივნად ამხ. მ. თუმანიანი. განსახილველი იყო შემდეგი საკითხები: 1) ადგილკომის მოხსენება, 2) ადგილკომის გადარჩევა და 3) მიმდინარე საკითხები.

ადგილკომის ექვსი თვის მუშაობის შესახებ გააკეთა მოხსენება ქართულად, რუსულად და სომხურად ამხ. ს. ტრდატიანმა. მოხსენების გამო იქნა გამოტანილი ერთხმად შემდეგი რეზოლუცია:

ტყავტრესტის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ მოისმინა რა მოხსენება ადგილკომის პასუხისმგებელ მდივნის ამხ. ს. ტრდატიანისა შესახებ ექვსი თვის გაწეულ მოღვაწეობაზე, სცნო სრულიად დამაკმაყოფილებლად იგი და აღნიშნა მინდობილი საქმის მათ მიერ კეთილსინდისიერად წარმოება. შემდეგ მოხდა ადგილკომის არჩევა. ერთხმად იქნენ არჩეული ადგილკომში—ს. ტრდატიანი, ლ. ენუქიძე, ა. დვალიშვილი, ა. აგაჯანოვი და შპეტიშვილი. კანდიდატებათ: რ. ასრინიანი და ა. თუმანიანი. მიმდინარე საკითხში იყო წამოყენებული ორთაჭალაში წითელ ჯარის სამსახურ დასრულებულ სამშობლოში მიმავალი წითელ არმიელების საჩუქრის საყიდლათ, ნებაყოფლობითი ერთდროული თანხის გაღება. კრების მიერ ერთხმათ იქნა მიღებული გაიღოს მათ სასარგებლოდ 20 კაპეიკიდან 50 კაპეიკამდე თვითეულმა მუშა-მოსამსახურემ.

ინფორმატორი მუშა ხერგიანი.

ქუჩაში მათხოვრობას ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

ქუჩაში ისე ვერ გაივლით, რომ მათხოვარი არ შეხვდეთ. ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოისპოს ქუჩაში მათხოვრობა. ბარიათინსკის ქუჩაზე ხშირად შევხვდებით სულ შიშველ ადამიანს, რომელიც გალეული ჰანგზედ ყვირის: „ძმებო და დებო გაიღეთ ღვთის გულისათვის მოწყალება“-ო.

აი მოდის ლიპიანი ვაჭარი უგდებს მათხოვარს ორიოდე გროშებს, პირჯვარს გადიწერს და წავა მედიდურად, ვითომდა დიდი დახმარება გაუწია გაჭირვებულს, ჩვენ კი უნდა მივსცეთ ამ გაჭირვებულს დახმარება სულ სხვანაირად. უნდა ავიყვანოთ ისინი ქუჩებიდან და მოვათავსოთ თავშესაფარებში. დღევანდელი მდგომარეობა მონობის მაჩვენებელია და ჩვენ მუშებისათვის ჩირქის მომცხობია. ამიტომ მას ბოლო უნდა მოეღოს.

მუშა გიორგი დანდუროვი.

გვეკუთვნის თუ არა?!

(ქალაქის ალმასკომის, ტრამვაის დირექციის და ტრამვაის მუშა-მოსამს. პროფკავშირის საყურადღებოდ).

რეაქციის დროს და დროებითი მთავრობის არსებობის დროსაც თბილისის ტრამვაის მოძრაობის დარგში მოსამსახურის მიღებისას დირექცია თხოულობდა მოსამსახურისაგან (მეტადრე ვატმან-კონდუქტორისაგან), ეგრედ წოდებულ „ზალოგს“ დაახლოებით სამოცდაათიდან ას მანეთამდის. ამ „ზალოგს“ კი იძლეოდენ ყოველ წლის თავზე და თუ მოსამსახურეს უკანონოდ ან და შტატის შემცირების დროს დაითხოვდნენ, დირექცია ვალდებული იყო „ზალოგის“ ფული უკანვე დაებრუნებია. 1921 წლის გაზაფხულ-ზაფხულზე ბევრი მოსამსახურე მოყვა შტატის შემცირებას. შტატს გარეშე თავისივე სურვილით და დირექციის თანხმობით დარჩენ ბევრი მუშა-მოსამსახურენი. ვეკითხებით სათანადო ორგანიზაციას: გვეკუთვნის თუ არა ჩვენ ყოფილ მოსამსახურეებს, რომლის შტატს გარეშეც ვართ დარჩენილი, ის ფული, რომელიც ჩვენ მიერ იქნა შეტანილი დირექციის სალაროში „ზალოგად“?

ჩვენ მოვითხოვთ ჩვენსას და იმედი გვაქვს, რომ პროფკავშირთა საბჭო და ალმასკომი მიაქცევენ ამას სათანადო ყურადღებას.

სათანადო ორგანიზაციებს ვთხოვთ, პასუხი გაგვცენ პრესის საშუალებით, ვინაიდან ზოგი ამხანაგები ვიმყოფებით პროვინციებში.

ტრამვაის ყოფილი მოსამსახურე: ხ. მამალაძე.

მუშათა ქრონიკა.

— **მელითონეებში.** 1—5 აპრილამდე ა. წ. მელითონეთა კავშირიდან უმუშევარ კავშირის წევრთ მიეცემათ დახმარება თებერვლისა და მარტის თვისა. დახმარება მიეცემათ შემდეგი რაოდენობით ერთი ჩერვონეცი. დაზღვეულთ, 1 მ. 50 კ. არა დაზღვეულთ და 50 კ. მათ სარჩენზე მყოფთ.

— **მელითონეებს დაურიგდათ ფეხსაცმელები.** ს. მ. შ. ს. ლითონის განყოფილებამ გამოიწერა და უკვე დაურიგდათ მუშა-მოსამსახურეთ 350 წყვილი ფეხსაცმელი (სამოქალაქო, ამერიკული და სამხედრო ნიმუშისა) ფასად—13 მ. 50 კ.—14 მან. და 4 მან.

მუშის ლექსიკონი.

(უცხო სიტყვათა ახსნა).

კითხვა: რას ნიშნავს სიტყვა ნაციონალური?

პასუხი: სიტყვა ნაციონალური არის ლათინური სიტყვა და ნიშნავს ეროვნულს (ხალხურს) და აღნიშნავს ყველა იმ ბუნებრივ თვისებებს, რომლებიც ახასიათებენ ამა თუ იმ ერს, როგორც ენის, ისე ზნე-ჩვეულებათა, სახელმწიფო წყობილების და მამაპაპურ ადათების მხრით.

კითხვა: რას ნიშნავს სიტყვა ნაციონალიზმი, ან ნაციონალისტური?

პასუხი: ეს ორი სიტყვა არის ლათინური სიტყვები და ისინი აღნიშნავენ ეროვნულ საკითხში იმგვარ მიმართულებას, რომელსაც თავის მიზნად დასახული აქვს ამა თუ იმ ერის განკერძოება-გამარტოება, საერთაშორისო მთლიან ოჯახიდან გამოყოფა და ერის ზნე-ჩვეულებათა და თვისებათა გადაჭარბებული, გარდამეტებული და შეუფერებელი შეფასებით მათი სამუდამოდ განმტკიცება. ერის ამგვარი მიმართულება სპობს ერთა შორის ურთიერთობას, სოლიდარობას (მეგობრულ განწყობილებას) და დაუსრულებელ მტრობის და ომიანობის მიზეზებად ხდება. ამიტომ მშრომელი კლასი სრულებით ითვისებს და იზიარებს რა ეროვნულ მიმართულებას, როგორც ბუნებრივს და კანონიერ მოვლენას, მთელი თავის არსებით უარჰყოფს ნაციონალიზმს, ან ნაციონალისტურ მიმართულებას, როგორც ფრიად მავნე გავლენას მშრომელი მასის დიქტატურის განმტკიცებისათვის.

დოკუმენტი—არის ლათინური სიტყვა და ნიშნავს ისტორიულ, უფლებრივ (იურიდიულ) და სხ. ამგვარ წერილობით მოწმობას, ან საბუთს.

კონფლიქტი—(ლათინური სიტყვაა) ნიშნავს უთანხმოებას, განხეთქილებას, ურთიერთობის დარღვევას, მტრულ განწყობილებას. (ამ დღეებში ჩვენი გაზეთის ფურცლებზე დაიწერა რამოდენიმე წერილები რუსეთ-ჩინეთის კონფლიქტის შესახებ).

ნოტა—(ლათ. სიტყვაა) და ნიშნავს ერთი სახელმწიფოსი ან მისი სრულუფლებიან რწმუნებულის დიპლომატიურ (დაფიქრებულ, მიზანშეწონილ) მიმართვას მეორე სახელმწიფოს ან მის სრულუფლებიან რწმუნებულისათვის რაიმე სახელმწიფოებრივ მნიშვნელობის საკითხების შესახებ.

ამ დღეებში საბჭ. კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ამხ. კარახანმა ამგვარ ნოტით მიმართა ჩინეთის მთავრობას ამ უკანასკნელის მიერ ხელოვნურად შექმნილ კონფლიქტის (უთანხმოების) შესახებ.

ფუნქცია—(ლათ. სიტყვაა) ნიშნავს მოქმედება - მუშაობას, დანიშნულ საქმის, ან მოვალეობის ასრულებას.

სარგებლოა გლეხებისათვის. მკითხველი იტყვის, თუ კი ასე სასარგებლოა, მოკიდონ გლეხებმა მუშაობას ხელი და მოიყვანონ თამბაქო, მაგრამ სოფლის გლეხობა დღეს თავისი ძალით ვერ დაიწყებს ამ მუშაობას, ვინაიდან მას სჭირია ფარდულები და გვერდზედ ასაფარებელი ტილო. დღეს კი გლეხი არა თუ ფარდულების საკმარის ტილოს, არამედ მისი საშარვალე ტილოსაც ვერ ყიდულობს, ამიტომ საჭიროა რომელიმე ორგანოს მიერ თანხის გაღება და მიცემა იმ გლეხებზედ ავანსის სახით, რომლებიც იწყებენ თამბაქოს მოყვანას. ამითი ისინი შეუდგებიან მუშაობას და მოიყვანებენ თამბაქოს, რაც დიდ სარგებლობას მისცემს თვით მუშა გლეხებს და სახელმწიფოსათვისაც ერთგვარი სავალიუტო საქონელი იქნება.

ხუფუ ცინცაძე.

ხეთის თემი (ზუგდიდის მაზრა)

მეცხრე წელიწადია რაც ამ თემის მცხოვრებთ აქვთ საკუთარი შენობა სამკითხველოსათვის. ამ ხნის განმავლობაში არ მოკლებია სამკითხველოს ჟურნალ გაზეთები დღემდის. დღეს კი სამკითხველოში მოთავსდა ადგილობრივი გლეხკომი, რომელიც არამც თუ არ გვიწყობს ხელს სამკითხველოს საქმის კარგად დაყენებაში, არამედ ბინასაც არ გვითმობს. ბევრჯერ მივმართეთ გლეხკომს, დაგვითმეთ ეს შენობა და გაზეთებს ჩვენ გამოვიწერთო. გვპირდებიან—დღეს ხვალო და ასე მიდის დრო

ნუ თუ ამ სამკითხველოს საკუთარი შენობის მეტი არ არის ამ თემში სხვა შენობა, სადაც შეუძლია გლეხკომს მოთავსება? ასეთი შენობა ბევრია. საჭიროა კულტურულ დაწესებულებას, როგორიცაა სამკითხველო, მიექცეს ყურადღება, გაეწიოს მზრუნველობა.

რამოდენიმე ხანია რაც დაწყებულია ამ თემში სახალხო სახლის შენება. მაგრამ მის დასრულებას ვერ ვეღირსეთ. ეს შენობა უპატრონობით და მოუვლელობით სულ ლპება და ფუჭდება. სახალხო სახლის სამშენებლო კომისია იყო არჩეული, მაგრამ მას არაფერი არ გაუკეთებია.

ამ მოკლე დროში არ დადგმულა წარმოდგენები, არ გამართულა საღამოები. ეს აიხსნება საკუთარი ბინის უქონლობით. საჭიროა ამას მიაქციოს ადგილობრივმა თემის საბჭომ ყურადღება, გამოყოს საგანგებო კომისია, რომელსაც მიენდობა დაუყოვნებლივ შეუდგეს სახალხო სახლის აშენებას. ამ საქმისათვის თავის წვლილის გაღებას არავინ დაიშურებს.

კარგი იქნებოდა, რომ სამაზრო პოლიტგანიც მიაქცევდეს ამას ყურადღებას.

საჭიროა საქმის დაწყება, ინიციატივის გამოჩენა, შემდეგ კი ყველანი აღმოგვიჩენენ დახმარებას.

ა. იუდიანიშვილი.

სოფ. ჭანიეთი (გურია)

ლიხაურის თემში არის პატარა ს. ჭანიეთი მდებარეობს გურიისა და აჭარის საქართველოს საზღვარზე, მდ. ჩოლოქის ნაპირათ. ჭანიეთს ერთის მხრით აკრავს ს. ქაქუთი, რომელიც მდ. ჩოლოქით გაყოფილია ორათ: აღმოსავლეთით ცხოვრობენ ქრისტიანი ქართველები და, დასავლეთით მუსულმანი ქართველები. გეოგრაფიული მდებარეობის გამო, მუსულმანი და ქრისტიანი ქართველები, აქ ძალიან დაახლოვებულნი არიან ერთმანეთთან, აქვთ განუწყვეტელი მისვლა-მოსვლა (ქორწილი, ტირილი, წარმოდგენები, მიტინგები და სხვა). ეს მდგომარეობა ხელს უწყობს კულტურულად ჩამორჩენილ მუსულმანებს დაეწაფონ სწავლა-განათლებას.

გაითვალისწინა რა ეს გარემოება და აგრეთვე ისიც, რომ ჭანიეთის მცხოვრებნი ძალიან დაინტერესებულნი არიან ყოველგვარი კულტურული საქმიანობით, 1921 წელში ამხ. ხაჭაპურიძის მეთაურობით პოლიტიკური გან. მთ. მართველობამ დაადგინა: ყოველგვარი საშუალებით (ნებართვა, ფული, აგიტაცია) დაეხმაროს ჭანიეთის მცხოვრებთ, რათა აგებულ იქნას ხსენებულ სოფელში სახალხო სახლი. ჭანიეთის მცხოვრებნი ამით ძალიან დაინტერესებულნი იყვნენ და თავგამოდებით შეუდგენ ამ საქმის მოგვარებას; მთელი თვეობით სტოვებდნენ გლეხები კერძო სამუშაოს და სახალხო სახლზე მუშაობდნენ. ჭანიეთის მცხოვრებთა დიდი ხნის ნატვრა ასრულდა ვეებერთელა სახლი თითქმის დამთავრებულია. სამუსულმანო საქართველოს საზღვარზე საძირკველი ჩაეყარა კულტურის აკვანს.

ჭანიეთის მცხოვრებნი უღრმეს მადლობას უცხადებენ ამ საქმის სულის ჩამდგმელს ინიციატორს—ამხ. გიორგი ხაჭაპურიძეს, რომელიც განსაცვიფრებელის ენერგიით ცდილობდა სისრულეში მოეყვანა ეს საქმე; პ. ს. ს. კომისია უღრმეს მადლობას უცხადებს, პარტსკოლის მოწაფეებს და აგრეთვე ყველა კერძო პირთ, რომელთაც თავიანთი გულწრფელი და გულუხვი დახმარებით, სულიერათ აღმაღლეს ხალხი და აგრეთვე ეკონომიურად დიდი დახმარება გაუწიეს მას.

ე—გო—ხუპერბი.

დიდი-ჯიხაიშის სამკითხველო.

დიდი-ჯიხაიშის წიგნთ-საცავ სამკითხველოს გაიხსნა 1888 წ. შემდეგ ის ძლიერ გამდიდრდა ქართული და რუსული ლიტერატურით, რასაც ხელს უწყობდენ გარედ და შინ მყოფი მუშები თავიანთი წვლილით. მაგრამ გაბრიელოვის და ტოლმაჩევით ჯარის შემოსევამ რეაქციის დროს გაანადგურა მთელი სამკითხველო. შემდეგ კიდევ გაიხსნა და დაიწყო მოქმედება, ქუთაისის ქალთა წრის შემოწირულებით ამ უკანასკნელ დროს ისევ დაიკეტა, და აღარ მოქმედობდა. ამას მიაქციეს ყურადღება ადგილობრივ მასწავლებლებმა და მოსამსახურეებმა. მათ თავის ხარჯზედ გახსნეს სამკითხველო, იხდიან როგორც მასწავლებლები, ისე ყველა ადგილობრივი დაწ. მოსამსახურეები თავის ჯამაგირის მიხედვით თითო პროცენტს, და მით უწერენ გაზეთებს და ფარავენ შინაურ ხარჯებს. სამკითხველო უკვე ამოძრავდა. დღიურათ ორთა შუა რიცხვით, 20—25-მდე მკითხველი ყავს, წიგნების გამოტანაც დღიურათ 15-ს აღემატება, მაგრამ წიგნების ნაკლებობის და უქონლობის გამო, ძლიერ ნაკლს განვიცდით. სასურველია დიდი-ჯიხაიშიდან მოსულმა მუშა მოსამსახურეებმა, რომლებიც ქალაქებში და ცენტრებში ცხოვრობენ, გაიღონ თავიანთი წვლილი წიგნებათ ან ფულად, რომ მით სამკითხველომ უფრო ფართოდ დაიწყოს მოქმედება.

სამკ. გამ. ივანე ცქიტიშვილი.

მუხრანი (დუშეთის მაზრა)

მუხრანის ყველა დარგის მუშა-მოსამსახურეებმა გაერთიანებულ კრებაზე აირჩიეს კულტკომისია და სარედაქციო კოლეგია ახლო მომავალში გამოსაშვებ კედლის გაზეთისათვის. სარედაქციო კოლეგიაში მოხვდენ ამხ. დუმბაძე, ტერლუკასოვი და ქაჯაია. ამხ. სევ. ორომბელიძეს წინადადებით, კრებამ ერთხმად დაადგინა გამოსცეს ყოველკვირეული გაზეთი „მუხრანის ხმა“. პირველი ნომერი გაზეთისა უკვე გამოვიდა 9 მარტს.

ამავე კრებაზე დადგენილ იქნა—შემნახველ-გამსესხებელ კასის დაარსების შესახებ ეთხოვოს ადგილობრივი ფოსტის განყოფილების გამგეს, რათა მან აღძრას შუამდგომლობა სადაც ჯერ არს, რომ იქნეს დაარსებული ს. მუხრანში შემნახველ-გამსესხებელი კასა მუშა-მოსამსახურეებისათვის, ვინაიდან რაიონში ისინი იმყოფებიან ცუდ მდგომარეობაში ჯამაგირის მიღების დროს, რადგან ბონები ყოველ დღე კარგავს ღირებულებას.

შემდეგ მოხდა მუსიკალური და მომღერალთა გუნდის ხელმძღვანელის და დრამატიული გამგეობის არჩევნები.

კორესპონდენტად არჩეულ იქნა ამხ. ქაჯაია.

აქაური.

პროვინციის ფოსტა

თიანეთი. ამხ. „თიანელ დათას“. ყველა თქვენი წერილები მივიღეთ. გაუშვებთ თანდათანობით.

ს. მუხრანი. ამხ. „აქაურს“. გამოგვიგზავნეთ თქვენი გაზეთი „მუხრანის ხმა“.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— დღეს, შაბათს, 29 მარტს, ცენტრალური პარტიული კლუბის მცირე დარბაზში შესდგება **თათბირი ლენინიზმის პროპაგანდის საკითხის გამო.** დასაწყისი საღამოს 6 საათზე.

დიდ დარბაზში—პროფ. ზავრიევის ლექცია „**ნივთიერების აღნაგობა**“. (წარმოდგენა ელექტრონზე და ნივთიერებაზე). დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

— **საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება** კვირას, 30 მარტს, საღამოს 6 საათზე, პარტიული კლუბის შენობაში (კირკის ქუჩა, მუშკოპის შენობაში) იწვევს იმ ამხანაგების **თათბირს**, რომლებიც მობილიზაციით არიან გაწვეული საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის საპროპაგანდო ძალების დასათვალიერებლად.

გამოცხადება სავალდებულოა შემდეგი ამხანაგებისათვის: რუხაძე, პ. ბახტაძე, მ. ბახტაძე, ორაგველიძე, ალაგარდიანი, დუდუჩავა, ი. თალაკვაძე, ქაცარავა, ნოვიკოვი, ბრემიკერ, კასიანი, ხაჭაპურიძე, მედვედევი, გრიშჩენკო, რეუტსკი, კოგანი, რასულ-ზადე, რახმანი, სნეგირევი, ძალინი. კრუგლიკოვი, ივანიკოვი, სოლოვეიანი, ა. ბუაჩიძე.

თბ. კომიტ. საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე: მ. ესსენი.

— **საქართველოს ახკომკავშირის თბილისის კომიტეტი** შაბათს, 29 მარტს, საღამოს 5 საათზე, 2 რაიონის კლუბის შენობაში იწვევს თბილისის ორგანიზაციის იაჩეიკების ბიუროების კონფერენციას. დღის წესრიგში დასმულია საკითხი:

„საქართველოს ახკომკავშირის მორიგი ამოცანები ცეკას პლენუმის და რუსეთის ახკომკავშირის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის რეზოლუციის მიხედვით“.

იაჩეიკების ბიუროების ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა.

საქართველოს ახკომკავშირის თბილისის კომიტეტის მდივანი ლომიძე.

— შაბათს, 29 მარტს, საღამოს 7 საათზე **ცენტრალური პარტიული კლუბის დიდ დარბაზში** მოწვეულია ამიერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის, ცენტრალური პარტიული სკოლის და 21-ე სკოლის ლექტორების, პოლიტიკური ცოდნის სკოლების, რაიპარტსკოლების, ახალ წევრების—ლენინელების წრეების და თბილისის ორგანიზაციის პასუხისმგებელ ხელმძღვანელების თათბირი.

დღის წესრიგი: 1. ლენინიზმის პროპაგანდის პროგრამა. 2. ლენინიზმი პოლიტიკური ცოდნის და რაიონულ პარტიულ სკოლებში.

საქართ. კომპარტიის თბილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება.

— **თბილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება** შაბათს, 29 მარტს, დილის 10 საათზე, თბილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების შენობაში **იწვევს თათბირს რევოლუციის მებრძოლთა დახმარების საერთაშორისო ორგანიზაციის მოსაწყობად.**

სავალდებულოა საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს, ახალგაზრდობის კომკავშირის, არმიის, ქალთა განყოფილების და რაიკომების წარმომადგენელთა დასწრება.

თბილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე: მ. ესსენი.

შაბათს, 29 მარტს, საღამოს 5 საათზე თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებაში მოწვეულია საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო კოლეგიის თათბირი.

დასწრება სავალდებულოა შემდეგი ამხანაგებისათვის: სტურუა, მაშკევიჩი, ფირალოვი, პენიაკოვი, კიდაიში, კარაპეტოვა, ლიოზნენსკაია, რახმანი და ლომიძე. აგრეთვე სავალდებულოა რაიკომების აღმრიცხვ-სტატისტიკურ განყოფილებების გამგეების დასწრება.

ტფილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგე ნაზაროვი.

თბილისის აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმის სავალდებულო

დადგენილება № 59

ქ. თბილ. სასაფლაოების მართვა-გამგეობის შესახებ.

1924 წლის მარტის 21 ქ. ტფილისი.

თბილისის სასაფლაოების მართვა-გამგეობის მოსაწესრიგებლად თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

§ 1. ქალ. თბილისის ფარგლებში მდებარე ყველა სარწმუნოების მოქალაქეთა საზოგადო სასაფლაოების მართვა-გამგეობა ევალება თბილისის ალმასკომის საქმეთა მმართველობას.

§ 2. ყოველი სასაფლაოს მრევლი ირჩევს სასაფლაოს გამგეს, რომელსაც ევალება სასაფლაოს უშუალო გამგეობა და მოვლა-პატრონობა, როგორც არის სასაფლაოს მიწების გაცემა, სასაფლაოს გალავნის შეკეთება-აშენება, წყლის გაყვანა და განათება, ხეების და მცენარეების მოვლა-გაშენება, ძეგლების და მოაჯირების დაცვა და სხვ.

§ 3. სასაფლაოს გამგეს ამტკიცებს თბილისის ალმასკომის საქმეთა მმართველობა.

§ 4. ყოველ სასაფლაოზე იმყოფება დარაჯთა და მესაფლავეთა მუდმივი შტატი. შტატის რაოდენობა განისაზღვრება სათანადო სასაფლაოს გამგეს მიერ საქმეთა მმართველობასთან შეთანხმებით.

§ 5. მიცვალებულთა სამარხი ადგილები უფასოა ყველასათვის.

§ 6. ყოველი სამარე ითხრება სიღრმით არა ნაკლებ სამი არშინისა, ხოლო სიგრძე-სიგანით—კი ფაქტიური საჭიროების მიხედვით დაყრილი მიწა იტკეპნება მტკიცეთ და საფლავი ლამაზდება დეკორატიული მცენარეებით და კულტურული ხეებით. დარგული მცენარე-ხეები ირწყვება საჭიროების მიხედვით.

§ 7. სასაფლაოს მოვლა-პატრონობის, საფლავების გასაჭრელ, ხეებ-მცენარეების შესაძენ და სასაფლაოს მუშა-მოსამსახურეთა შესანახ ხარჯების დასაფარავათ წესდება შრომის ხელფასი შემდეგი სახით:

ა) პროფკავშირის წევრებზე და შრომის ბირჟის მიერ აღრიცხულ, მაგრამ დაუზღვეველ პირებზე ორი ჩერვონული მანეთი.

ბ) დანარჩენ მოქალაქეებზე კი სათანადო სასაფლაოს გამგესთან შეთანხმებით.

შენიშვნა: ომის ინვალიდების, სოციალ-უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის მზრუნველობის ქვეშ მყოფ მოქალაქეების და შრომის ბირჟის მიერ დაზღვევაზე აყვანილი უმუშევრების საფლავების გაჭრა და მიწის მიყრა ხდება სრულიად უფასოთ ამის შესახებ ყოველ ცალკე შემთხვევაში საქმეთა მმართველობის მიერ გაცემული სათანადო მოწმობის ძალით.—

§ 8. სასაფლაოს შემოსავალ-გასავალი სწარმოებს საქმეთა მმართველობის მიერ დადგენილი წესის დართვით და მისი სწორათ წარმოების სრული პასუხისმგებელია სასაფლაოს გამგე.

§ 9. სასაფლაოში მყოფ ეკლესიის კედლების ირგვლივ რჩება 30 ოთხკუთხი საჟენი თავისუფალი ადგილი და იქ მიცვალებულთა დასაფლავება აკრძალულია.

§ 10. აკრძალულია თბილისის ალმასკომის ნებადაურთველად მიცვალებულთა დასაფლავება ქვემოაღნიშნულ სასაფლაოებში და ეკლესიის გალავნებში.

1) მამადავითის ეკლესიის გალავანში
2) ქართველ კათოლიკეთა სასაფლაოში მე-3 სამილ. რაიონში.
3) სომეხთა სასაფლაოში რკინისგზის ლიანდაგთან.
4) დიდუბის ეკლესიის გალავანში და
5) ყველა იმ ეკლესიის გალავნებში, სადაც დღემდე არ არსებობდა საზოგადო სასაფლაოები.

§ 11. ეს სავალდებულო დადგენილება არ ეხება სამხედრო უწყების სასაფლაოებს.

§ 12. ევალება თბილისის ალმასკომის მიერ რეგისტრაციაში გატარებულ რელიგიურ საზოგადოებათა საბჭოებს ა. წ. 10 აპრილამდის იქ, სადაც ეს გათვალისწინებულია ამ დადგენილებით, აირჩიონ სასაფლაოთა გამგეები და დარაჯ-მესაფლავეები და მათი სიები წარმოუდგინონ დასამტკიცებლათ ალმასკომის საქმეთა მმართველობას.

§ 13. ამ სავალდებულო დადგენილების დამრღვევი მოქალაქენი მიცემულ იქნებიან პასუხისგებაში სათანადო წესით.

§ 14. ამ დადგენილების გამოქვეყნების დღიდან უქმდება ამ საკითხის შესახებ წინათ გამოცემული ყველა სავალდებულო დადგენილებები.

§ 15. დადგენილება ესე შედის ძალაში დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ალმასკომის თავმჯდომარე ხუციშვილი
მდივანი თიკანაძე

1—1 ნოს. 988.

განცხადებები

გაუბედურებული ცოლი ტერეზია ახალაძისა, ძმა ილია, ქვისლი ბართლომე კილაძე ცოლით იულიათი და ცოლის ძმა სიმონ ზედგეჭკორი აუწყებს ამხანაგებს და მეგობრებს, რომ

მიხეილ ბესარიონის ძე
ახალაძის

ერთი წლის სამოქალაქო პანაშვიდი დანიშნულია ამა მარტის 30, კვირას, დღის 1 საათზე, ვერის ნიკოლოზის სასაფლაოზე.

1—1

ვ. ი. ლენინის სახელობ.
საოპერო თეატრი

სახალხო არტისტის
ლეონიდ
სობინოვის
გასტროლები
კვირას, 30 მარტს
ლოენგრინი
ლოენგრინი—სობინოვი
დადგმა—კ. მარჯანიშვილის
ყველა წარმოდგენებს დირიჟორობს ი. ფალიაშვილი.
№ 967 0—4

გ. ისაიევი იწვევს თანამემკვიდრეთ **სერგო და ირ. არტემის ძეთ ისაიევებს,** რომელთა მისამართი, არ იცის, გამოცხადდნენ გარდაცვალებული მამის არტემ ისაიევის ქონების მისაღებათ. 745—1—1

მუშებო და გლეხებო! თქვენ ყველამ უნდა იყიდოთ მამაკაცების, ქალების და ბავშვების გამზადებული ტანთსაცმელები კარგი მასალისაგან, იაფად და ნაწილ-ნაწილად გადახდის გზით მხოლოდ საფაბრიკო მაღაზიაში

„ბრუზოდეჟდა“
რუსთაველის პროსპექტი № 11 (ბოლოვის.)

მოითხოვეთ საქარხნო კომიტეტების და ადგილკომების საშუალებით თქვენი დაწესებულებებისა და წარმოებებისაგან კოლექტიური კრედიტები.

ფაბრიკა:
მიქელაძის ქუჩა, № 5, ტელეფ. 11—67.

მიიღება დაკვეთები სამხედრო, სამოქალაქო და სპეც-ტანთსაცმლების მასიურ დამზადებაზე

ნ. 951 10—9

ბეჭდვითი სიტყვის ექსპედიციისაგან

დამატებითი წინათ გამოქვეყნებულ განცხადებისა გაზ. „კომუნისტში“ და „მუშაში“ 24, 25 და 26 ამა მარტიდან №№ 66, 67 და 68 ბეჭდვითი სიტყვის ექსპედიციისა ამით აცხადებს მოსკოვის გაზეთების ხელის მომწერთა საყურადღებოთ, რომ ვინაიდან ბონები საგრძნობლად ეცემა და საკურსო განსხვავება საგრძნობლად იზრდება რასაც ზარალი მოაქვს ექსპედიციისათვის, რადგან იმ შემოსულ ბონების გადახურდავებით, რომელიც თავს იყრის ხელის მოწერის დროს ექსპედიცია ჰკარგავს 55 პროც. მათი ღირებულებისას ტ რადგანაც ექსპედიციამ აუცილებლივ უნდა გადაგზავნოს მოსკოვში ჩერვონცები არა უგვიანეს პირველი რიცხვისა და ხელისმოწერა კი იწყება 25 ტ თავდება მეორე თვის 10-ში ამიტომ უკვე გამოცხადებულ ფასებს

ემატება საკურსო განსხვავება

ჩერვონცების შესაძენათ 55 პროც., მაგალითებრ: „პრავდა“ ღირს 1 მ. 30 კ. საკურსო განსხვავება 55 პროც.—72 კაპ. სულ—2.02 კაპ.

ის ხელის მომწერნი, რომლებიც გადაიხდიან კურსს მტკიცე ვალიუტით—ჩერვონცით ე. ი. ისინი იხდიან წინათ გამოცხადებულ ფას მაგალითებრ: „პრავდა“- –1,30 კ. „იზვესტია“—1.30 კ. და ამ რიგად სხვა გაზეთებზე ხელის მოწერა მიიღება დილის 8 საათიდან დღის 2 საათამდე რუსთაველის პროსპექტი № 26 ტელ. № 5—43.

ბეჭდვითი სიტყვის ექსპედიციის გამგეობის
თავმჯდომარის მოადგილე პ. ხაუგარელიძე
ექსპედიციის გამგე ა. ჩეჩელაშვილი

3—2 ნომ. 980.

ელექტრონის და სინათლის
სამკურნალო
საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ
სამკურნალო სწარმოებს **ექ. სიმონ ყიფშიძის** ხელმძღვანელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20. 126—25—19

დაიკარგა პირადობის მოწმობა, სიღარიბის მოწმობა, შრომის ბირჟის წიგნაკი ალექსანდრე ავალიანის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 744—1—1

დაიკარგა ივანე მიხეილის ძე გუგუშვილისა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანის ფურცელი № 1789 გაცემული თბილისის და მისი მაზრის სამხედრო კომისარ-გან. ჩაითვალოს გაუქმებულად 1—1, 750

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი მიღებული თბილისში 1920 წ. ჩაითვალოს გაუქმებულად იასონ დიმიტრისძე გოლაძე 1—1 № 749.

საქართველოს მეცხვარეთა ამხანაგობა „მწყემსის“ გამგეობა
აცხადებს, რომ ხსენებულ ამხანაგობის წევრთა
რწმუნებულების წლიური ყრილობა დანიშნულია ა. წ. 14 აპრილს თუქურმიშაში
დღის წესრიგი იქნება გამოცხადებული ცალკე, ყრილობის წინა დღეებში.
ნ. 978 2—2
ამხანაგობა „მწყემსი“-ს გამგეობა.

„[illegible]“ სტამბა. [illegible] № 4